

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 65

2020



მთ. რედაქტორი

ანზორ შარაშენიძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოდერნიზატორთა საერთაშორისო
აკადემია “ქალდეა-საქართვე-
ლო“-ს აკადემიკოსი


© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-872-4 (65 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხოვის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, როგელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნიღება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესუმე, 1575 გვერდიანი ტომი, როგელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედიბაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამღვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწმეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწარმატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესკანის მედლისა და „ღიოსკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრემიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრემიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტიტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნების“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინეული, ღავიწყების ნაცარმძირელი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისწოლია... მათ იცინან იმ იწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი,

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა

საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულცინვად შხხვდი ყოველ ძეხას, ყოველ კახეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მახიერ

(გაგრძელება)

„ნისლის თეთრი პირსახოცი“ ვაჟა ეგრისელისეული ნისლის ახლებური ესთეტიკაა, რომელიც პოეტის მიერ იდუმალეების შეგრძნების სასწაულებრივ უნარში გვარწმუნებს. დიახ, „ყველაფერი ინთქმება მარადისობაში, რათა ხილულსა და უხილავს სიზმარისეულის სახე მიეცეს“ (აკაკი გაწერელია) და თუ ვაჟა ფშაველა ამბობს „ნისლი ფიქრია მთებისა, მათი კაცობის გვირგვინი“, – ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თავს იწონებს ზღვა ნისლის აზღუდითა და ზვირთთა მაღალი ჯიქნებით“ „...ჩუმაღ იფენენ ნისლების საფენებს მთები, ბილიკებით სახე დახანჯლული“, „დედამიწას გულს უშლიდა ცა ნისლად“, „სასაფლაოზე რომ წამოდგა ნისლის ფთილაა თუ სული არის, სულ ახლახან მკედარ ნეტარის?!“

შეუდარებელია ვაჟა ეგრისეული ნისლის აპოლოგია.



დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელი განსხვავებით ვაჟა ფშაველასაგან ახალ თავისებურ გზას ეძებს ნისლის მხატვრული სახის შესაქმნელად და უმშვენირეს ხილვებს გეთავაზობს. აი თუნდაც:

„სინათლით საესე მნათობების
ოქროს ქვაბები,
ცაზე ჰკიდია ოქროს ლარჭებით
და ქვეშ უნთია კოცონი ნისლის,
შორს...

სადღაც მთებში ელვით დაჭედვით
შავი ღრუბლების ჭიხვინი ისმის“.

გინახავთ ოდესმე „ნისლის კოცონი“? ეს არაჩვეულებრივი სახეა, მას ანალოგი არ მოეძებნება. ასეთი მეტაფორა და პოეტური ხატები ინსტიქტის, ალღოს, ირაციონალურის ენერგიითაა შობილი, ნისლიც შემოქმედებითი პროცესის აქტიურობა და მუზის ამღერებაა და ღამე და იღუმალეცა ცოეზიაა, ღმერთის ნაბოძები უიშვიათესი საჩუქარი. მართლაც, რომ ეგრისელი „სხვა თაბუნისაა“, რომელიც გულწრფელად ამბობს: ...და ჩემი სული – უქრობ ცეცხლივით, ჩემი მამულის შუაკერიდან მიიწევს ცისკენ.

შემოქმედი მარტო ერთი ცრემლით კი არ არის ჩვენზე მეტი, არამედ იმითაც, რომ ჩვენზე უწინარე-



სად ქვეცნობიერად თუ ცნობიერად ნადირის გეშით შეიგრძნობს იმ საფრთხეს, რაც გვემუქრება.

ჰოდა, ჩვენს მწარე სინამდვილეზე, დღევანდელ ყოფაზე, პოეტმა ჩვენზე გაცილებით ადრე განჭვრიტა: „აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია. მათ იციან: აქ იწყება – საქართველოს ისტორია. ეს ლექსი მწარედ ჩააფიქრებს ყველას, ვის სულშიც ჯერ კიდევ კრთის სამშობლოს სიყვარულის ნათელი, ვისაც ესმის ხმა ერთობისა, შორეული ქუჩისა და ფარნავაზის...

განსაკუთრებული ექსპრესიის მქონე მხატვრული სახე ვაჟა ეგრისელთან იმ საგნებიდან ამოდის, რომელთაც პოეტი თავის სულის თანაზიარად თვლის; ჩვენ გვხიბლავს და გვაოცებს ნისლის ყაბალახიანი ბალახი, რომელიც წვიმის გრძელი მოსასხამით პოეტის თბილ გულზეც გადაივლის. მზის საფუარი ენაცვლება ნისლს, ზოგჯერ ნისლი ჩადრია სინათლედ ცად ასული სულების, ან „ცაზე კიდია გაცრეცილი ნისლის ნაჭერი“. „წვიმები ნისლებს რეცხენ და ლურჯ ფერდობებზე ჰფინავენ“ – ეს პოეტური ხატები არაჩვეულებრივი არტიტული ენერჯის არიან დამუხტული.

პოეტის ფანტაზია ნისლების წვიმის, მზის ჯოხის, ელვის ცულების, სიცოცხლის გემის, მთვარის მარაოს, ქალწული ღამის, ვარსკვლავთა კოცონის,



ცისარტყელის ურდულის, ცის ვეება ბუხრის გარშემო ტრიალებს.

ღამე, იღუმალება, ნისლი ვაჟა ეგრისელის სასიცოცხლო მედიუმია, მისი მიწიერი ხატები, მხატვრული ხატები ზღვაზე, ოკეანეზე გაცილებით უფრო ირაციონალური, გაცილებით უფრო შთამბეჭდავია და ინდივიდუალური.

„ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია“ (კ.გამსახურდია, „ვაზის ყვავილობა“).

პოეტის ლირიკული გმირი ბედნიერია თავისი პოეტური ცხოვრებით. იგი გრძნობს თავისი პოეტური ნიჭის ძღვევამოსილებას, ამიტომაც მისი ფიქრები ღამეზე პოეზიას უკავშირდება და გულგაუტეხელად გზნებს სამყაროს ღვთაებრივ მშვენიერებას და ეოცნებება:

„არ მადარდებს დღე უკუნი,
რადგან ღამე

მნათობების

ოქროცურველ ასოებით –

„ვაჟა“ –

აწერს ცის დიდ დაფას.

მივაბოლებ მე, მეოცე საუკუნეს
და ნაფაზზე ვურტყავ ნაფაზს“.



პოეტისათვის ღამე შემოქმედებითი ძალების გაბრწყინება და პოეზიის სასწაულების ზეიშია.

აზრის დომინანტით გამორჩეულ ლექსებს შორის მინდა აღვნიშნო “მზე როცა ჩავა“, რომლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა სიცოცხლისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა. და მაინც ლექსის უძლიერესი მომენტი ბოლო ორი სტრიქონია, რომელიც პოეტის ჩანაფიქრს დაუსრულებელ სილამაზეს სძენს:

„მზე როცა ჩავა,

დაუხუჭავს ღამე დღეს თვალებს,
რომ ერთი კარგად გამოიძინოს
და უთენია გააღვიძოს თვალგაბადრული“.

დღე უშიშარი ჯარისკაცი, ჩამავალი მზე, დღეს რომ თვალებს უხუჭავს და ისევ კარგად გამოიძინებულნი, თვალგაბადრული დღე განუზომელი ესთეტიკური ხიბლით, სიცოცხლისაკენ სწრაფვის ძლიერი განცდითაა დამუხტული.

აღბათ არავის არ უწერია ღამეზე იმდენი, რამდენიც ვაჟა ეგრისელს, ღამიდან იწყება მისი სევდა და დიადი გრძნობით აღვსილი ფიქრიანობა. და, თუკი მისი მიზეზი კოსმიურ სამყაროსკენაა მიმართული, მხოლოდ იმიტომ რომ ამოიცნოს იდუმალება, ადამიანის სიცოცხლის საიდუმლო, არსი ცხოვრებისა, ადამიანის დანიშნულება.



რა მართებულად ბრძანებდა კეგამსახურდია – „ადამიანური ლექსიკონი ძლიერ ღარიბია, ძილსა და სიცხადეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, ბნელსა და ნათელს შორის კიდევ არის რაღაც მესამე“ („დიონისოს ღიმილი“).

ვაჟა ეგრისელთან ღამით ხდება ყოფნა-არყოფნის სიცოცხლის ძიება. პოეტისთვის სულის მარადიულობის რწმენა სასიცოცხლო ძალების გააქტიურების კამერტონია, რათა ადამიანმა „სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სადმე დარგოს“. (ვახტანგ VI).

უნატიფესი გრძნობებით წერს პოეტი ღამეზე. აკი ერთადერთ მესაიუმღედ ღამეს უხმობდა გალაკტიონი.

რა დიდებულად ბრძანებს ვაჟა ფშაველა: „ღამდა წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა“.

ვაჟა ეგრისელი აცნობიერებს, რომ წუთისოფელში მყოფს უფალი მოძღვრავს თავის სამწყსოს დიდი სათნოებითა და სიყვარულით:

„ჰორიზონტს იქით,

მზის დასავალთან,

ცა ისე მოჩანს

ვით ნახანძრალი.

მიწას თვალეში ზღვა უბრწყინავს



ვითარცა ცრემლი.

სინათლეს რეკავს მთვარის ტაძარი,

ღამეს ღოცულობს –

მუხლმოყრილილ ვარსკვლავთა მრევლი“.

ღამე პოეტისათვის აურაცხელი ზმანების, ხედვის, ასოციაციის, განცდების, სიკეთისა და სათნოების ერთგულების და მარადიული სიყვარულის ხატია.

ღამის პეიზაჟს მოაქვს ჩვენთან ჩვენი ქვეყნის წარსული, ისტორია, ლეგენდა, რამეთუ:

„დასავლით მისდევს ღრუბელი –

ღრუბელს

და ქარგავს ელვა ცას ოქრომკედით,
მე კარგად ვხედავ ნათელზე მთვარის,
როგორ ჰკიდია ნოტებივით ღობიო სარის
ჩაღისღერებით შემოღობილ
ბოსტანში დედის“.

პოეტის თვალი ხშირად ჩერდება უსასრულობის, მარადისობის, დროის დინების პრობლემებზე და ილტვის ცისკენ, უკვდავებისკენ.

„რომ გარდაქმნილმა მე აღვმართო ოცნება ჩემი“
(მაღარმე, „ლექსები და პროზა“, ქუთაისი, 1979).



უიტმენი – „ჩემი სული ანათებს ცის ფირმინენტს და ამ ვარსკვლავებს“ (უიტმენი „ბალახის ფოთლები“, თბ., 1965. გვ.57.

ანა კალანდაძე: ჰა, საიდუმლო ელვარე ცისა, უწყის მიწასთან ღირსება მისი?“ („ბრწყინავს კარიბჭე შუადამისა“).

ვაჟა ეგრისელი თითქოს ადლოთი ცდილობს მარადისობის დროის დინების სივრცეში უკუგარდაქმნას და გვაწვდის სამყაროში არსებობის ჭეშმარიტებას:

„ფრთადაკეცილი გზებით არყოფნის,
ჩემი სიცოცხლის თეთრი ზამთარი
ველადერილი მოდის გედივით.

მიხმობს მთოვარე

შუქმიბნედილი

და ვარსკვლავებით ცა

გადამთვრალი“.

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღამის ციდან ხდება მარადიული არსებობის გზების ძიება, რამეთუ ღმერთია ადამიანთა შესაძლებლობის განმსაზღვრელი.

როდესაც პოეტი წერს: „დედამიწას კი ვეება მთები უდევს მოვერცხლილ ყინვის პინებზე და დღე და ღამეს სწონის მზის და მთვარის სასწორით“, ან „მოსადამოვდა... ოქროს ნაყოფს ცა კვლავ დაისხამს“, ან „ისევ თვლემს ღამე მოგონების პატარა



ტოტზე, აყეფდა ფიქრი ნაგაზივით“. ან „წამოდგებიან სალი კლდეები და ცას ფოლადის მხრებით ასწევენ“, ან კიდევ „ცის პაპირუსზე მთელი ღამე, დილას წერს ღმერთი, მერე შლის და შლის საშლელით ღრუბლის, ვარსკვლავებით დაწერილ წერილს...“ ან კიდევ: „გასცქერის მთვარე ვარსკვლავებით გაცოხნილ სივრცეს, გაკრთება ელვა სულ ერთი ციდა“ – ეს არის არა მხოლოდ საგანთა და მოვლენათა უბრალო მსგავსება, გარკვეულ თვისებათა სიახლოვეზე აგებული ჩვეულებრივი პოეტური შედარება, არა მხოლოდ უბრალო ტროპი, არამედ მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობის შემცველი სიმბოლოა, რომელსაც პოეტის განწყობილებათა ცვალებადობა მას ახალ-ახალი იერით გვიხატავს და ზოგჯერ ბუნების ერთგვაროვან მოვლენებშიც კი შუქისა და საღებავების ურიცხვ სახეცვლილებას, ურთიერთგადასვლას ჰარმონიულ თანახმიერებასა და კონტრასტებს წარმოაჩენს.

რა მართებულად ბრძანებდა თავისი დროის კვალობაზე მარკუს ავრელიუსი: „ღვთაებრივის გაუთვალისწინებლად ვერასოდეს აღასრულებ, როგორც ჯერ არს, რაიმე კაცურს და პირუკუ. ან კეთილმოსურნეობით ვმსჭვალვადე კაცთ და ჰმორჩილებდე ღმერთებს“.



მართლაცდა და შეუძლებელია ინტელექტით განსაზღვრო ის, თუ რამდენჯერ გაიყვება ადამიანის გონებაში ბედისწერის ძირითადი კითხვა:

„თვალეობრივად და შეჩვეული
მიმინოსავით
ცერზე ნაწურთნი
დღეები,
ღამის ციდან დაგკვივის.
უკვდავებაში შესვლა გვინდა,
მაგრამ საწუთრო,
იღრინება,
ჭიშკართან დაბმულ ქოფაკივით“.

ადამიანი უსაზღვრო ღირებულებაა ვაჟა ეგრისელისათვის, რადგან მასში ეგულება აურწყველი წადილები, მიჯნა და ზღვარდაუდებელი სწრაფვა სისრულისაკენ. პოეტმა ძალიან კარგად უწყის, რომ შემოქმედება უდიდესი ბედნიერებაა და ამავე დროს უდიდესი ტანჯვის მომგვრელიც. ენერჯის უდიდესი ძალაა საჭირო, ზმანებული, ხილული, ნანახი და განაგონი რომ არსებულ ხელშესახებ და დინამიკურ სამყაროდ აქციო...

ბატონი ვაჟა ეგრისელი ჭყონდიდელივით ეზიდება სამშობლოს უშველებელ ტვირთს და სწორედ იგია ჩვენი დღევანდელი დიდი სულიერი მეუფე, დაუცხრომელი ქადაგი და შთამაგონებელი დიდოს-



ტატი ქართული სიტყვისა, ქართული პოეტური აზრისა და მაინც, ვაჟა ეგრისელის სიდიადე იმაშია, რომ კეთილისა და ბოროტის ჭიდილი ცისარტყელას, ვარსკვლავთა კოცონის ელვარებაში გვიჩვენა და ლექსების უზარმაზარი ეროვნული ტაძარი ააგო. მისი პოეტური სტრიქონები ნაღმებივით ფეთქდებიან, ეს აფეთქებანი ხშირად ჩამოჰგავს გასაშლელად მომწვიფებულ კვირტა ვარდისფრად სკდომას. ეს მის სტრიქონებშია მთრთოლვარე აზრის სიმხურვალე, წარმოდგენა იმისა, რომ იშვა, წარმოიშვა ნათელი შეგნებიდან, ეს ბუნებრივი მიდრეკილება ჩინებულად ერწყმის მისი როგორც პოეტისა და დიდაქტიკოსის იდეას, რომელიც იხსენებს განუმეორებელ წამს, რომელიც ჯერ წარსულიც არაა... და არის აწმყო სკდომადი კვირტი, ელვისებური მომენტი, მთელ სამყაროს მარადიულ სიჭაბუკეს რომ ჩუქნის...

პოეტმა კარგად უწყის კაცობრიული იმედის, მომავალი სიყვარული და ზღვარდაუდებელი სიკეთის თავშესაფარია მისი პოეტური სული, მისი შინაგანი სამყარო: მისი დუმილის განცდა, მისი სიბრძნის, გონების ყველა მოკვდავთათვის თვალშეუდგამ სამყაროსთან შესხმიანების ფორმაა; პოეტმა გვაჩვენა მშობლიური პეიზაჟების პლასტიკური მშვენიერება, მშვენიერება სრული, მშვიდი, აუღელვებელი. მშობლიური ბუნების გულში ჩამწვდომი ღირიზმით მოფინა საკუთარი სულიერი სამყარო:



„აქ წყდება ღაფა
ყოფნა-არყოფნის,
ცოდვის და მადლის,
ღვთის და მადლის.
საფლავის ქვიდან გამოდის მატლი
იქნებ,
სულია ის გარდაცვლილის“.

ირაციონალური, ემპირიული სამყაროს მიღმა არსებული სფერო მიუწვდომელია ჩვეულებრივი მოკვდავთათვის და ვაჟა ეგრისელის პოეზიაში უხვადაა მიმოხეული დუმილთან დაკავშირებული ხილვები. პოეტის მსოფლგანცდის თვისება ხომ სულის ფარული მიმოქცევების თანაზიარობის განცდაა. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მკითხველს, თუ იგი არ არის მოკლებული „ერთ ყალიბში“ ლექსების ღრმად წვდომის უნარს, თვალწინ ეშლება მომაჯადოებელი, მოზაიკური პანორამა, რასაც სწორედ ერთი შეხედვით, ერთფეროვანი სტილი ჰქმნის, ვაჟა ეგრისელის ლექსები არაჩვეულებრივად მოზაიკურია.

ვაჟა ეგრისელისათვის დუმილს მოაქვს ძარღვიანი, მაგარი სიტყვა, ხმაური, რაღაც საოცარი, ჟრუანტელისმომგვრელი დამუხტულობა:

აჰა, – მიწყნარდა ღაღადისი
შემოღამების



და უკაცრიელ სიმყუდროვეში
დაინგრა ვანი
სიმარტოვის

და სულს უხარის...
ნაავდრალი და ნათავთუხარი –
ზღვა აშრიალებს...
ბნელში განთიადს.

პოეტი მთელი არსებით გრძნობს უხილავ კავშირს მთელ სამყაროსთან, დუმილში ჩაღრმავებული ლირიკული გმირისათვის შინაგანად იხსნება ყოფიერების საიდუმლოებით გარემოსილი სურათი, პოეტი უშუალოდ ცდილობს გვაზიაროს ქვეყნის ისტორიულ საზრისს, მას როგორც პოეტს უდიდესი მისია აკისრია. ამიტომაც მისი გონი წვდება ერის ისტორიის უღრმეს შრეებს და ქართველ კაცს აზიარებს ეროვნული ცხოვრების სიდიდეს. იგია სწორედ მგზნებარე მემბტიანე ჩვენი დიდი წარსულის, ვინც ეროვნული სახმილის დამათრობელი სურნელით იწვის და იფერფლება, რომელიც ცხადად ხედავს:

„ქართული ციდან
წვეთავს მირონი
და ვარსკვლავების ნაკვერჩხალზე
ღამე შიშხინებს



შორეულ ალით –
მშობლიური
ბრწყინავს
ხედები.

ცაში შეგულვი
მიტომაა ასე ხშირ-ხშირად
მშობელი,
მაღლა რომ ვიხედები“.

და ასე უსასრულოდ ხატავს პოეტი შუქჩრდი-
ლის წამიერ თამაშს. ცას ელვას მოსტაცებს, ვარ-
სკვლავების ნაკვერჩხალზე დამეს ააშიშხინებს და
მშობლიურ ქედებს გაათბობს...

„ცუდი არაფერია ამაში
ამ ტიალ წუთისოფლად
სიცოცხლე –
სიკვდილთან თამაშში,
წუთშესვენებას რომ იღებს
და ჩვენ მას ვეძახით
ყოფნას“ .

ეს ლექსი ვაჟა ეგრისელის ყრმობისდროინდე-
ლი ლექსია, ამჯერად პოეტმა ყოფნის ცნება შემოგ-
ვთავაზა და იგი მხატვრული აზროვნების თვალწარ-
მტაც საბურველში ჩასვა, ყოფნა – ესააო წუთშეს-



ვენება სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთჭი-
დილში.

და თუ, საერთოდ, ყოფნა და არყოფნა, მყოფობა
და არმყოფობა ერთმანეთს ვერასოდეს ასცდებიან
ღირიულ ხილვებში ზოგჯერ, ისინი თანამდევ ფენო-
მენტებად აღიქმებიან, რომელთა შორის პარალელის
გავლებაც კი შეიძლება.

„ყოფნა არყოფნის შუა პარალელს
მუდამ ვაგლებდი,
ხმები.

ვით ადრე მიიღტვიან აღმოსავლეთით,
მაგრამ შენ, ჰეი!
ბედი ხარ თუ, ბედის ვარსკვლავი,
დღითი-დღე მიხვალ სადღაც დასავლით!“

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში უზენაესთან ქართვე-
ლი კაცის მიახლოების განცდაა, ამ მიახლოების
ერთ-ერთი პირობა კი დუმილია. ლექსში „ეკლესია-
ში“ პოეტი სამყაროს დუმილით მოცულ სურათს
გვიხატავს:

„მოწყალებდ მზირაღს,
ხელჩაქნეულს ძეზე

ადამის,

ჯვარცმულ მაცხოვარს სანთელს ვუკმევდი.
იდგა სიჩუმე და გაოცება,



...თეთრ ტაძარს ჰგავდა შენი გულმკერდი
და ხავსე იყო მხერით მლოცველთა“.

მლოცველთა მხერა გაცილებით უფროა წარ-
მოდგენის ლოგიკასთან, ვიდრე პროზაულ დეტალ-
თან.

ავტორის ინდივიდუალურმა თვალსაზრისმა პოე-
ტისა და ღამის, იღუმალების კავშირზე მრავალი სა-
ხე ინტონაცია და დეტალი მოითხოვა. აი თუნდაც:

„როდესაც ელვა –
ღამის კარს შეადებს,
სინათლით ივსება –
ცის ლურჯი დარბაზი.
ნანემსარზე კი ჩნდებიან ბუჩქები,
ჩემი და ქარგავს
და ნარმაზე
ია-იები იფურჩქნება“.

ვაჟა ეგრისელის ფიქრებში უკვდავებაზე შეთავ-
სებული დელვისა და სიმშვიდის წინააღმდეგობანი,
ერის უკვდავების უდრმესი რწმენა აძლევს პოეტს
იმ სულის სიმშვიდეს, რომლითაც მოჰყვება იგი
ცხოვრების გზას, და მაინც ნარმაზე გაფურჩქნილი
ია-იები პოეტის ხშირი თანამგზავრია, ამ ლექსის
მთავარი იდეა და გზის იმედიანი ფონის ფსიქოლოგ-
იურ-ფილოსოფიური საფუძველი ორგანულ კავში-



რშია ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყაროს მთელ რიგ ნაწარმოებებთან, პოეტი განცდას მთელი არსებით გამოხატავს, საგანი, განწყობილება, აზრი და მოვლენა ირეკლება პოეტის სულის სარკეში და ალბათ არავის არ ძალუძს ისე, როგორც ვაჟა ეგრისელს დაინახოს ნარმაზე ქარგვით გაფურჩქნილი იუბის უიშვიათესი სურათი.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

გაგრძელება შემდეგ ტომში



ღღეუბი

სიცოცხლის ველზე გადიქუხებენ,
ხან მესხ ბაძავენ,
ხან მეტეორებს,
წინ ცეცხლი,
უკან კვლავ მეწყერია.
ღღეუბი სღვეენ ერთიმეორეს,
მაგრამ ერთმანეთს
ვერ ეწვევიან.

1988

უწარწერო ლოდები

უნდომ,

უღვთომ,

უგულომ,

ათას ქარში ნარწევმა

ჟამმა,

ისევ წაშალა

ხსოვნის ციციქნა წარწერა.

ახლაც სადღაც გორაკზე

დედებივით გოდებენ,

საფლავებს დამხობილი, უწარწერო

ლოდები

1960



ქაღილი

ვარ მონაწილე ბრძოლების –
დიდგორისა და მარაბდის
და სანამ აღმართს ავივლი,
ვარ და ვიქნები
მარადის
ამოღებული ხმალივით.

1974



ზაფხული ტყეში

გადაიქროლა რემამ ღრუბლების
და ლურჯი მთები

უცებ გამაღლდნენ,
მზე მოიწრდილა პატარა ბორცვმა.

აყვავდა სივრცე –

სხივმოსილი

და ხე-ტყიანი

და შორით ვისმენ ფოთლების ლოცვანს,

მინდა მხეცებთან სიახლოვე

და ხეტიალი.

1964



ქანს და ბაბინეთს

ქარი დაძრწოდა, როგორც მსტოვარი
ქვის ტალანებში

გარდასულთა მოსახილველად.
თვალთ მწუსრი ედგა

ლოცვით დადლილ

ქანს და ბაბინეთს,

ჩემს სიცოცხლეში მაშინ პირველად

შევბედე ალაჰს და...

შევაგინე.

1973



* * *

ღამე გამოდის ცის ბუნაგიდან

და მნათობების კოცონს

აჩადებს.

მთვარე ჰკიდია სიშორეში, ვითარცა

ჯვარცმა,

შემოდგომა კი,

როგორც ყაჩაღი,

დაძრწის ტყე და ტყე

და ხეებს კვლავ

უღმერთოდ ძარცვავს.

1977



წმინდა ღანდები

პირქუში სული პიტიახშების
ჟამმა ვერ იქნა,

ვერ მოაშუშა.

მათ წმინდა ღანდებს,

აჰა, ფიქრის ხელი

შევახე

და ვით ასპარუგ,

ვითარც არშუშა,

შემოვიტყუე წიგნში ძევახი.

1967



ნატურმორტი

ცის ღურჯ ღარნაკზე დადებული
ნაღვეა მთვარე –
ქართული ნესვის ერთი ნაჭერი.
და მწიფე-მწიფე ვარსკვლავები,
ვითარც
ატმები,
განგების ხელით
დახატული
ეს ნატურმორტი
ვის არ უხილავს...
ცას –
მნათობებით დახუნძლული
მოტეხა ტოტი,
გამთენიისას,
მეხის ქუხილმა.

1989

მტრედი

ქათქათა ფრთების მარაოთი
კვლავ უნანაგებს
ზღაპარში მძინარ
ათასწლეულებს...
და ზეთისხილის რტოთი ეხება
წარღვნისფერ ნისლში მცურავ
ქვაფენილს,
ანგელოზივით ღამაზფეხება,
შოორ... წარსულიდან გადმონაფრენი.

1966



ივლისი ზღვაზე

დილით მოვარდნენ

შმაგი ქარები,

ცაზე ღრუბლები გაფინეს და

ოდნავ გაწურეს.

ზღვა, ვით მიჯნური,

სიცხიანი წევს,

არარაობს.

სანაპირო კი, როგორც ქალწული,

ეფერება და უნანავებს

ჩრდილთა მარაოს.

1993



ღღეები მიაქვთ ქორებს

წელში გაწყვეტილ თელებს,

მეხით

შუბლგამსკდარ მუხებს –

ცა წვიმით

ამრთელებს

და ელვის დოღბანდით უხვევს.

წავა და აღარ მოვა,

ღღეები მიაქვთ ქორებს,

მიმდგარა შემოდგომა

ტყეს –

ფოთლებს უოქროებს.

1958



* * *

თუმც გვიან, მაგრამ
მაინც მოვედი,
მეომარი რომ ათიათას ოქროდ გიღირდა.
წლებმა მომხდური დავიწყების
ბნელში შეგლისეს,
და, აი, ახლა,
ათასეულ წლების მიღმიდან,
გისმობ!
გეძახი ჯაგუ ეგროსელს!

1957



წვეს უზრუნველი

ზღვისა და ქარის აკვნის რწვევაში,

"დბუია ბონდოსთან" –

ესმის "ჩაკრულო",

და ბაგეებზე უდის დედის ძუძუს სურნელი.

ფერად სიზმრებში –

თბილად

ჩაკრული,

ჩემი ბავშვობა წვეს უზრუნველი.

1968



ცამ ელვის დანით

დღის შესაყრელად ისწრაფვის ღამე,
თანდევს მნათობთა ზღვა მაყრიონი,
ფეხისწვერებზე
დგებიან მთანი
და ჩანჩქერებმა ხელი ხელს მისცეს,
მაგრამ უეცრად ცამ –
ელვის დანით
შუაზე გაჭრა ღამე და სივრცე.

1969



* * *

ვითარც დროშას –
ჭირგამოვლილს,
მტრებმა რომ ვერ
იავარჰყვეს,
დღეს დაბლა ვხრი შენ წინაშე –
ჩემს ქართველურ
სიამაყეს,
ჩემს პოეტურ ქედმაღლობას.

1989



* * *

გამთენიისას მთები თეთრად ამოთავთავდნენ
სხვა სიხარულით

და გაფითრებით.

ცის უდაბნოში

აი, ახლა

მზე ჟამს არწყეულებს...

და მეფერება მოქათქათე ფიფქთა

თითებით

ანგელოზების სისპეტაკე

და სიქალწულე.

1968



* * *

ხან დემონი ხარ, ხან ანგელოსი,
ხან უტკბილესი დღეთა ნათება.
ჩემი სახელი მზით შემოსილი,
შენს შესახვედრად მიემართება.
ფიქრს –

უხილავი მიწვავს სახმილი,
გეძახი ბრძოლის ველზე შესული.
და მოელვარე შენი სახელი
ხელში მიჭირავს, ვით ორღესული.

1969



ჩემი ხორბა

ღღისით და ღამით –
გზისკენ მზირალი –
მეგრული ოდა,
ჭა და ბადია,
ორიოდ ლექსი,
ორიც ბოკვერი,
– ეს არის ქვეყნად –
რაც მახადია.

1977



ცეცხლი

ვიწვით...

ვიწვით... და

ვიწვით...

მაინც ცეცხლის გვაქვს შიში,

რომლისგან –

ვაი!

ვიშით!

ერთ დროს ჩვენ ყველა ვიშვით.

1989



* * *

რჩეულ ტაღლების ურდოს
ელეზა ფერი
ტვიშის.
ოცნების ქარი ბუდობს –
ზღვის შედედებულ
ტვინში.

1961



* * *

ო, ღმერთო ჩემო! –

სიევარულის

ისევ მწვავს ღავა,

სულს ისევ მიხნავ, ფიქრის გუთანო.

ცოტა მაცალე და...

მე, მერე,

იმ ქვეყნად წავალ,

ჩემს პატარა მტრებს –

სისხარული რომ მოვუტანო.


1985



* * *

საუკუნეთა მტერიან საცერში –
დღეები ისევ თეთრად
იცრება.
და ვიღაც კივის წარსულიდან
ათასმეშვიდედ:
მოვა სხვა შოთა...
სხვა ერეკლე...
ვაჟა... თამარი...
და ვითარცა მე,
მზის, სიცოცხლის, –
ღამაზ პეშვიდან,
ალოკავს წუხილს...
დარდსა და ცრემლს,
ვითარც ქვამარილს.

1967



* * *

იასამნების ღურჯი გალობა
მთვარეულ გზებით
სიზმარეთში მიედინება...
შენ კი შორსა ხარ...
ახლოა დრო შიშის და თრთოლვის,
თუმც სიყვარულის მაღალ ციდან
შენი დუმილი,
ჩემთან ჩამოდის სისპეტაკედ
პირველი თოვლის.

1964



* * *

სამარადისოდ დეღვასა და
შფოთს მიმაჯაჭვე,
რადგანაც, ზღვაო,
შემოგბედე მცირე გალობა –
მებადურთა და
მონადირეთა.
მორჩა,
გათავდა!
აღარ ველი შენგან წყალობას,
ვით დამნაშავე –
უნდა ვიდგე
აწ შენს დირესთან...

1981



* * *

ზეცას სდიოდა სისხლი შვიდფერი –
მკერდზე ეკიდა ცისარტყელა –
მკლავი მოჭრილი.

უკუიყარა ზღვამ როდესაც
შავი ქოჩორი,
ქარიშხლისაგან აწეწილი
და აქოჩრილი,

მაშინ,

ო, მაშინ,

ფოთი ჰგავდა ზღვისპირად მდგარ
ლამაზ ბოჩოლას.

1963



* * *

განთიადისას რომ აგუგუნდეს,
მზეს –

ჩამქრალ ბუხარს –
მთელი ღამე ვარსკვლავები
აჩაღებენ.

1969



ჰე, პოეტებო

ტრფობის კოცონი რომ ჩაგვიქრია,
დიახ,

ამიტომ შური გვიდრღნის
ჩანგსა და
ებანს.

ჰე, პოეტებო!

დღეები კი ისე მიჰქრიან,
უკვდავებაზე რომ ვიფიქროთ,
დრო აღარ გვრჩება.

1984



ჩემი გული

დაიშრიტა...

აწი აღარ შეელის,
მღვდელთა წირვა და
ლოცვები მოგვთა –
ეკლესიის და მონასტრის კარად.
საყვარელო!

სიძულვილით არა,
ჩემი გული –
სიყვარულით მოკვდა.

1967



* * *

წარსული უცებ ამომზიანდა:

გაცოცხლდა ყველა,

ვინც მყვარებია...

ოცნებების და

სიყვარულის

თეთრი დღეები

წასულან?

- არა!

უბრალოდ თვალს მოგვფარებია...

1996



* * *

შურით,

მტრობით, ხმლით და შუბით,
უკლავდნენ გულს, მხეს და იმედს.
ვერ იტევდა მიწის უბე,

ცრემლის ზღვას და სისხლის წვიმებს.

თურქმა, სპარსმა, ლეკმა, დიდომ,

მაჰმადმა და მისმა გეშმა,

ჩვენი ცოდვა ზურგზე იდო

და მიჰყიდა სული ეშმაკს –

ჩვენი სისხლიც სვეს და ღვინოც,

მერე...

ყველა ძილად მიწვა.

აწი სვან და იდილინონ,

დააყოლონ შავი მიწა.

1998



ბროწეულები ყვაოდნენ

გარდასულ დღეებს –
ვეწნები
და მახალისებს
რაოდენ,
როს პარას ღამაზ ჭალაში
ნაწნავს იწნავდნენ
ქეწნები,
ბროწეულები ყვაოდნენ.

1965



არმაზის ნეკროპოლი

სარკოფაგებში მშვიდად სძინაეთ
ათასწლეულებს,
თუმც მოჩახჩახე მზე ამოვიდა.
ლოდიდან ლოდზე დავიწყებად
ხავსი
მიცოცავს
და ცრემლნარევი ხმა მოისმის
აკროპოლიდან:
- "ძევახოს,
ჩემო სიცოცხლე!"

1978



ტერენტი ბრანელი

ჩემი დღეები როცა შავეთს
ჩაიშრიტება,
თავს დამადგება –
სვეტი ნათლისა,
ვით ერთადერთი ცისიერი ჭირისუფალი.
და მის ძახილზე,
სულ სხვა სევდით,
სულ სხვა ნაღველით,
ნალუსკუმარი, როგორც უფალი,
მკვდრეთით აღვდგები
და ავმადლდები.

1977



მთანი მაღალნი

იდგნენ და დიდხანს ელოდნენ,

ლოდინით სივრცე

დაღაღეს...

და როს მოესმათ გუგუნი –

ვაჟას ჩანგის

და ნაღარის,

მაშინ უეცრად ამაღლდნენ

მთანი,

ისედაც მაღალნი.

1977



ბრიგოლ ხანძთელის რუკა

(VIII – IX სს)

საუკუნის ცამეტის თუ
თოთხმეტის
მერე,
სხვა შიშით და განცდებით
შევეურებ: არტანუჯს,
ხანძთას
და ოპიზას,
იშხანს და გუნათლესს,
შატბერდს და მიძნადორს –
რუკაზე,
დიდ ბრიგოლ ხანძთელის.

1991



* * *

მიწას –
 ზეცაში აფრენა სურს
და ვითარც კივი*,
სივრცეს გასცქერის და
 სიშორეს
კივის და კივის...

1958

* კივი – უფრო ფრინველი



აბო თბილელის გახსენება

ისევ მტკვრად სდის ცრემლები,
ათასი წლის წინათ რომ
არაბებმა რწმენისთვის
აბო თბილელს ადინეს.
მიტომ ჩამოლუსკუმა
მათი კარაბადინი.

1984



* * *

ქაოსი კი,
 წესრიგს ელის,
გარბის უამი ამ ლოდინზე,
სცევა მიწას, ბნელით მოხილს.
ცა იხსნება,
 მზე ამოდის –
 სული –
 კოლხი ელიოსის.

1962



ნოქალაქევი

მესმის ყივილი ციხისმცველების,
 ღღრიალი შუბის,
 მტვრევის ხმა – ტარის,
ყოველ ნაბიჯზე,
 ყოველ ქვასთან,
 ყველა უბანზე.
ასე მგონია: გაიღება წარსულის კარი
და გამოჩნდება ხმალაწვდილი –
 მეფე გუბაზი.

1968



* * *

თავზე დამჩხავის
 სიცხე ივლისის,
 უღმრთოდ მკორტნის და
 მეწვის ბეჭები.
 მე ვერ შეეძელი
 იისფერი "კარვით აღჭურვა"
 და ზღვა შემფოთდა,
 და ნაპირთან თეთრი კენჭების
 კბილები ბრაზით
 დამიკრაჭუნა.

1964



შენით ვიწყებო

მკერდზე დავინთო შენი ზაფხული,
ვითა მზისგულზე
მდგარმა მოცხარმა,
რადგან შენი ვარ...
შენით ვცხოვრობ...
შენით ვიწყები.
მეც, ცოტნესავით, სანამ ცოცხალ ვარ,
მამულო ჩემო!
შენს სიყვარულს
მივეფიცხები...

1978



* * *

სიცოცხლის გზაზე
ასკილივით ანთია სისხლი,
მაგრამ ფიფქები,
ვით პატარა ანგელოზები,
ფრთების ფათქუნით ჩამოდიან დედამიწაზე,
რომ ცოდვა-ბრალის
კვალი წაშალონ.

1978



* * *

ფრთებგაწვართული წეროებივით
ღღეები ღღეებს მიჰყვებიან
 სადღაც დასაველით,
და ცოდვილ მიწას –
 ზეცა ადგას, როგორც შენდობა.
ჩემი ფიქრები ალგებს ჰგვანან
 ცამდე აწვდილებს,
მსურს, ხელი ვტაცო
 საყველოში უიმედობას,
მაგრამ არ მიშვებს,
 მეღობება წინ სიყმაწვილე.

1979



* * *

არაეინ არ ჩანს...

დგას წუხილად
ოღა მეგრული,

მოსუც დედასაც დაწვეია ღამე ტიალი
და ეს დღეები მწუხრისკარში
ისევ გადიან...

მიტოვებულ ჩვენს ეზო-კარს რომ
დასტრიალებს

შავი ღრუბელი,

მამაკ,

ვიცი,

რომ შენი დარდია.

1998



მზე, ვით ზრინველი

დასაველეთიდან,

განთიადამდე,

მზე, ვით ზრინველი,

დღისა და ღამის ზრთებს მთარხევედა...

და მერე გვიან,

დილა –

ნინველი,

აღმოსაველეთით ცეცხლის რაშზე

უცებ ამხედრდა.

1965



გვასწავლის ბრძენი

რომ აგვამადლოს სულით
 ზეცამდე,
 დილას მზე მოაქვს,
 ვითარცა ძღვენი,
 მაგრამ დღეები ცივი და უნდო
 გვღალატობენ და...
 გვასწავლის ბრძენი,
 რომ სიცოცხლეშიც
 სიკვდილი ბუდობს.

1965



* * *

ჩემი დედა ჩემი ძმის სიკვდილს გადაყვა

მეგონა, დედა მარად ივლიდა
ქვეყნად და...

არრას დააკლებდა დღეთა
მარულა.

დაუძინია შვილმკვდარ დედას
და იმ ძილიდან
მარადიულში, თურმე, შვილთან გადაპარულა.

1983



* * *

ამოვარდება იჭვი ქარივით
და იმ გზა-შარას ანაღვლიანებს,
სადაც დღე და ღამ დადის ჩემი
მზე და მიზანი.
და... როცა ნახვას დავაგვიანებ,
ჩემი შავი ზღვა
ბარათივით ზღვაურს მიგზავნის.

1962



ცხრამნათი

ვინც მამულს თავი ანაცვალა,
ყველა გმირია
და უკვდავება თავზე დანათის,
ვახტანგი,
დავით,
ქეთევანი,
ცოტნე,
მირიან,
შალვა,
ელიზბარ,
ნინო,
ერეკლე,
სამარადისოდ, როგორც ცხრამნათი,
საქართველოს ცის სარკეში აირეკლნენ.

1971

ფოთლებად ყრია

წუხან დღეები უმზობას...

ზამთრის ნაპირთან,

ჩიტები შიმშილს და სიცივეს

სულ მარცვალ-მარცვალ

კენკავენ... ცივა.

ფოთლებად ყრია

ქარების რისხვა

და შემოდგომა შიშველ ხეებს სტკივათ.

1968



ცისიერი და მსახოვარი

ჩემმა ხსოვნის ცამ აიხადა
რიდე-მანდილი,
დავიწყებაში რომ არ დამაღოს
ჩვენი სულისთქმა,
ვით სახსოვარი.
და მეფინება გულზე მალამოდ
შენი ჩურჩული
ცისიერი
და მსახოვარი.

1984



ან ასე რატომ ზანზარებს

"შიგან ასრე გავერიე,
გნოლის ჯოგსა ვითა ქორი".

რა კვილია,

რა ზარი,

რას მამცნობთ,

ძველო წამებო,

ან ასე რატომ ზანზარებს

ფრიდონის ზღვათა სამეფო

და ველი მუღლაზანზარის?

1981



დიდი ხანია

ჩვენი ცხოვრება –
ზღვად გაშლილი
იალქანია.
ირგელივ ღელუაა...
და ნაპირი
არსად არა ჩანს.
და აწ გარდაცვლილ
ჩვენს სიყვარულს
დიდი ხანია,
რომ ჩვენი ხსოვნა
უღვას დარაჯად.

1981



სხვა არაფერი

მე შენ მიყვარდი...

სხვა არაფერი,

მსურდა, ხვრელიდან ამომეყვანა
ეჭვი,

და მეხსნა სიმშვიდე სხვების.

სხვა არაფერი...

მოწამეა –

ცა და ქვეყანა

და თოლიების თეთრი ფრთებით
გაცრილი ზღვები.

1964



ჩემი მღინარე

ვაჟაა!..

ვაჟა!..

კარებს ვაღებ და ვყვირი, ვინ არი,
ჩემს ლამაზ დღეებს

შიშით რომ ნაღმავს?!

გამოღმა ვდგავარ...

მიგრიანლებს

ჩემი

მღინარე,

ვიღაც დღედაღამ მეძახის გაღმა.

1986



ზღვის ლურჯ ტილოზე

როცა ლოდინით დაღლილ ნაპირთან

გაიწკრიბლებს გულად ზვირთთა

ძველი მოტივი,

მოგა სადამოც –

ყვითლად მოთხვრიდ

მთვარის მოლბერტით

და უხარმაზარ ზღვის ლურჯ ტილოზე –

ცას დაახატავს –

მოყვავილეს –

ატმის ტოტივით.

1982



და ააყვავებს ციცინათელებს

ღამეს დაწერილს –

ვარსკვლავების

ასომთავრულით,

მზე, როცა ჩავა,

ბარათივით მუდამ მიგზავნის,

მაგრამ სიშორით

გაბზარულ გულს

ვეღარ ამთელებს.

ო, არა უშავს,

ისევ მოვა მწუხრი მაისის

და ააყვავებს ციცინათელებს.

1984



ანდერძი

სიკვდილის წინ –

"იაენანა" მიმღერეთ ტკბილი,
სამარადისოდ მშვიდი ძილით რომ დამეძინოს,
სანამ სიკვდილი მომძებნიდეს ხელის
ფათურით,

სანამ სხეული

დადალულ სულს აღარ ემძიმოს,

სიკვდილის წინ –

"იაენანა" მიმღერეთ ტკბილი,
სამარადისოდ მშვიდი ძილით რომ დამეძინოს.

1961



იასამნები

დედა მელოდა და მეძახოდა,
და გაუარღვიე
სიმარტოვის ჟამის
სამნები;
მაისის თხუთმეტს –
უცებ წასცდა –
ჩემი სახელი
და ჰა, მას შემდეგ იასამნები
ჩემს დაბადებას – ლურჯად
და ხან თეთრად ამხელენ.

1965



* * *

მზე უცებ მოჰყვა ზღვის ნანგრევებში,
ღელვის ველ-მინდვრებს
გრიგალი ნაღმავს.

ღამეულ ცაში –

ვარსკვლავების დგას

"კრიმანჭული".

ვღგავარ ნაპირთან,

ამივლის და ჩამივლის ტალღა,

ქაფით ნაკერი ფეხსაცმელის

თეთრი ჭრაჭუნით.

1962



ღაჩი და ზურაბი

ჩემს ქართულ მიწას –
წინაპართა სისხლით
მოზელილს,
რომელიც ახლა
ზღვისკარად ზის,
ვით ფარშევანგი,
მე ჩემი ფიცხი,
თვალსაცერა –
ორი მოზვერი,
ჩემი მამულის სიყვარულში
უკვე შევაბი.

1986



მზის გადასარჩენად

წლები კი არა,

დღეს წყვეტენ წამები –
ჩვენი ყოფნის და არყოფნის
არჩევანს.

ცა ჭკნება,

ვით ტოტი ძახველის.
დრო არის! –

მზის გადასარჩენად,
"რამეთუ ყოველთა აღიღონ
მასვილი!"

1968



იულიუს კეისარი

სიკვდილის დირე –

ბრძოლით გადავლახე,
ამ წუთისოფელში არავის ვემონე,
უნდო ჟამი კი ბეჭზე დავანარცხე,
და უიმედობა,

ღალატი,

დემონი,

"მივედი,

ვნახე,

დავამარცხე".

1979



მეხეთში

ცაში ღრუბლები დათარეშობენ,
არგანის ტყორცნას უფალი კი
ვერაფრით მორჩა,
შორიდან ვუმზერ მოქათქათე მთას –
წვერებიანს.

და ვეღარ ვარკვევ,
კლდეზე რომ მოჩანს,
ხვიარებია თუ ლურსმული
წარწერებია.

1964



"ურმული"

ეს მერამდენე საუკუნეა
მთვარიან ღამის
სიმსუბუქეში,
არდავიწყების გზას მიჰყვება
სიმღერა მესრის.

1961



ბაღმა ნაპირი

ჩვენი მაშვრალი მამა-პაპანი

ღამით,

სულეთის თეთრ მდინარესთან,

თეთრით მოსილნი,

ფეხაკრეფით ისევ მოდიან.

გამოღმა,

ჩვენთან უნდათ გადმოსვლა,

მაგრამ

ვერასგზით ვერ გადმოდიან.

1984



* * *

თოვს...

დაწიწკლული ველი

გდია,

ვით ნაჭერი ჩითის.

მარტი ეჭიდება

ხავსს.

სარზე დასკუბდა

და ჩიტი

მოწყენილ სიმღერებს თხზავს.

1959



* * *

ცა წუხდა ღამის ჩამქრალ თვალებზე,
ნაპირს პეშვივით ეპყრა
ცხელი ნაფეხურები.
როცა მუხლებზე დაეცა ზღვა
და აქვითინდა, –
თმაგაწეწილი მესმა კოლხი დედის
კივილი,
თურქეთისაკენ
მიმავალი
ღურჯი ზვირთიდან.

1961



კოლხური საღამო

მოსუცი მამა აივანზე ზის
და აბოლებს
და ჰყვება პაპის საგმირო ამბავს:
- ის ოჩოპინტრეს თოკაუდაო, ეჰეი, გიდი!
ტყაშიმაფასაც ჰყვარობდაო,
ჰქონდაო ნიჭი...
მგლური ნაბიჯით ეპარება
ეზო-კარს ბინდი,
იქვე მინდორზე –
ცხენს აძოვებს
პატარა ბიჭი.

1989



* * *

ღამე,

დიღამდე,

ვარსკვლავების –

წითელ კრამიტებს

ყრის მზის ქურაში გამოსაწვავად.

1979



მიწა

მზე უგზო-უკვლოდ მიაჭენებს
სინათლის რაშებს,
მთვარეც ბაძავს და უკან მისდევს
სიბნელის რაშით
და ჩვენ, მოკვდავებს ცოტა გვრჩება
გასახარელი.
წევს უდარდელად –
დრო და ჟამის
ამღვრეულ ზღვაში
და ჩვენს სიცოცხლეს კვლავ იცოხნის მიწა
ხარივით.

1977



* * *

ცაში ისეც ადის ლოცვად
იქ "ლილეო",
აქ – "ნადური"
და ლურსმულში თვალებს ახელს,
ქართული და აქადური.

1962



ცის ყვავილები

მარადისობა მარად მე მინდა
და სიყვარულის
ჩუმი მეფობა,
რადგან მოვლემარე ღამეებიდან –
მესმის ძახილი მზის და სინათლის,
რადგან
სიშორის
კენწეროებზე,
მარად ჰყვავიან ცის ყვავილები.

1989



* * *

მთებზე შემდგარო თბილისო,
კვლავ შენ გდარაჯობ...
მეტეხთან, –
მეც ვდგავარ, ვით გორგასალი,
და მტკვარი წელში მოხრილი
მიჭირავს კვლავ
გორდასავით.


1967



* * *

სიცივეს ცივა...
თეთრი ზამთარი,
თეთრად აბოლებს ჩემს ფიქრს და
ტკივილს,
ჩამოდის მწუხრი სიფრთხილით ჯიქის,
და ყოველ ღამით ვიღაცა კივის,
სადღაც ზესკნელში,
ვარსკვლავებს მიღმა
და მთვარის იქით.

1989



* * *

სანაპიროზე შავით მოსილი
ზის ბნელი ღამე
და დასცქერის ქაფის მიმოზებს –
ქვიშაზე დაყრილთ,
ლოდებს სული რომ შეაფრქვიეს.
ქარი –
მოცარტი,
ზღვის ვეება პიანინოზე,
თმაგაწეწილი უკრავს რექვიემს.

1965



ღამე

ელვას იცინიან ღრუბლები,
რადგანაც მოვარე
უბეში დამალეს.

არც მელა,
არც ძაღლი,
"სოფლის მშენებელი",

არ უხმობს,
და ცისკარს არ ყივის მამალი,
ღამე ბნელია და გაუთენებელი.

1982



ზღვა და ხმელეთი

დგანან,

თვალებში უელავო –

ცეცხლი,

მტკერი

და ქვიშა.

უნდა დაიწყოს დუელი,

ელიან ქარის ნიშანს.


1964



ჩალურჯებია თვალები იას

მთებს ჩაუბღუჯავთ ირმის ნახტომი
და სიმარტოვე დამფრთხალ არჩევის.
უფსკრული თოვლით ისინათლებს
დამეულ წყვილადს.
და გაზაფხულის მოლოდინში
მარტო დარჩენილს,
ჩალურჯებია თვალები იას.

1965



* * *

მზე ოქროს ფრთებს შლის

აღმოსავლეთით

და ჩემს თვალებში

ბუდეს იკეთებს.

მოვიდა ჩემთან და მეც რწმენის მზესთან
მივედი.

მაგრამ სიკვდილი

ჩემს სიცოცხლეს

მაინც აბრტყელებს...

და აქ დარჩენის ცდა და იმედი –

ხელში მიკვდება ჩიტის ბარტყივით.

1982



როიალი

ოქროდ გადმოჰქუხს ჩქერი –
მნათობთა...

შენ ღამის მიღმა უცებ იალებ,
მერე მიჰყვები ციურ ჰანგთა –
უცხო ღინებას...

აქ,

ბნელ კუთხეში დგას როიალი
და... იღიმება.

1967



ღაჩის

მათ ნათელ ხსოვნას

ღირსეულად

ვერ ვუბალობე,

ვერ ვუბალობე და ვალში დაგრჩი,

შენ კი წინაპართა სული არ მიტკინო,

გახსოვდეს მარადუამს ეს,

შვილო –

ღაჩი,

ჩემი სიკვდილის –

სიკვდილო.


1994



* * *

დაკეტილია სიყრმის კარები,
მაგრამ მე ვხედავ
ჩემს სიყმაწვილეს,
კოლოს ნაკბენი,
დაწყლული უჩანს ტანი და
ძირგაცვეთილი ქალამნების სველი ჭვინტები.
და ყოველ ღამე –
ვარსკვლავების ჭუჭრუტანიდან,
ჩემს ბავშვობაში ვიჭვრიტები.

1974



* * *

ნისლში მცურავი დედამიწის
ბროლის მკლავებზე –
ზღვები მოჩანან, ვით ანაცერი.
ელვა გაკრთება ცივ შორეთში, როგორც
ნობილე.
და ცა – მოხუცი,
ნამტირალევ სივრცეს
გასცქერის,
ცისარტყელის ფერად ტოტზე
გადაყრდნობილი.

1968



პირველი მერცხალი

მინდვრებზე –

თოვლ-ჭყაპის ნაკვალევს –

თებერვლის წვიმები რეცხავენ,

ბუჩქებში ია თვალებს აფახულებს.

აივანთან კი ჭიკჭიკებს მერცხალი:

- მოვიყვანეო გაზაფხული.

1962



პიკასოს და მოდილიანს

აჰა,

ეს მთა,

შუბლშეკრული,

დიდი ზურაბ ერისთავის

ნადღზე ნადღი მოდელია.

ზღვა –

ტილოა, ელის თავის

პიკასოს და მოდილიანს.

1964



* * *

"ნანას" რომ მიმღერს ხობისწყალი,
დედაა ჩემი,
უფროსი და კი გახლავთ ფაზისი,
ხოლო დღედაღამ შესახვედრად რომ
მოისწრაფის
და მოლოდინში ასე რომ დელავს
ზღვა –
ჩემი სატრფოა უუნაზესი.

1964



* * *

ღამეულ ბაღში დგას შემოდგომა
შიშველ-ტიტველი,
უამური ფიქრის ამშლელი.
ღიან დღეები და სულს ღაფავენ...
მოვა ზამთარი,
და ქათქათა
თოვლის საშლელით
წაშლის სიკვდილის ნაწერ საფლაგებს.

1996



* * *

შენსკენ მარადუამს
მოვილტვი,
მარადის შენი
უღირსი –
მსურს შენმა გზებმა
დამღალოს,
ოკეანეზე –
უღრმესო,
ყველა მწვერვალზე
მაღალო.

1967



ღეღას

ცას მნათობები ისევ კორტნიან
და ცივ სიშორის ტოტებს
არსევენ.

არყოფნის ფიქრი
ჩემს იმედებს
როცა შებინდავს,

მაშინ
მე მესმის ცრემლნარევი
შენი ძახილი –
მარადიული მღუმარებიდან.

1985



ოზას შუბა

მოუწყენია პატარა შუკას,
რადგან იქ ახლა
არავინ დადის,
არც ძმა,
არც მამა,
და აღარც დედა.
და... უცებ გაკრთა ჭიშკართან
ლანდი,
ვინ იყო ნეტავ?

1985



* * *

მესთატეხა...

დგას ღრუბლების კვამლი,
ცაზე ერთი ვარსკვლავი არ ჰყვავის.
შეცბუნებულს –

ვხედავ სახეს უფლის,
რომელსაც სურს ჩამოიხრჩოს თავი
და უჭირავს ხელში

ელვის ყულფი.

1964



ეკლესიაში

მღვდლებს ჭინკები

აბრაზებენ –

სული რომ აქვთ

გაყიდული.

ღვევით კვლავ სავსე არის

ღვევენდები –

დარბაზები

და ზღაპრების –

ცხრაკლიტული.

1974



* * *

გარდასულ დროთა ვარ მოგზაური,
როგორც კასტელი,
როგორც შარდენი,
იმერ-ამერი,
რა კარგია,
რა დიდებული
და წარსულიდან გარდმონადენი
დიან დღეები –
სიყვარულით
ადიდებული.

1989



ჯოღო

ჩემს არ ყოფნაში –

დაგსევია წლები – მშვიერი

პატარა ბიჭს და...

შენი ხსოვნა დაუკორტნიათ...

და მიმწუხრისას ისევ ისმის

მათი ჟიჟივი...

შენი დუმილი –

დედის ცრემლით ისევ ირწყვება...

ოცი წლის მერე მოველ, ძმაო,

და გიკიჟინებ:

მსურს გამოგტაცო უღვთო წარსულს

და დავიწყებას.

1965



* * *

შავი ზღვის თვალში

წარსულის სრუტით –

ისევ შემოდის

მეგრელ დედათა გოდებისა და

ცრემლის გემების

ზღვა ქარავანი, – გრიგალზე სწრაფი.

რომლებიც მერე

ეფერებიან –

ფერმკრთალი ხსოვნის მწუხარე ნაპირს.

1968



ცა მშობლიური

ცას რომ შევხედავ,

გაიღვიძებს ჩემში

უფალი,

და სიხარული მდის ალაზნებად.

მზე –

მშობლიური ისე მათბობს,

როგორც მათბობდა.

ღამის უღრანში,

ვითარც ადრე,

მიიზღაზნება

ქედებზე სანთლებდანიებული –

ჯოგი მნათობთა.

1994



* * *

უცებ დაიმსხვრა ჩემი ბომონი...
დაფარული თუ
წევდიადისგან
დაუფარავი,
მოოქროვილი
და მოზარნიშო –
(ამ ცისქვეშეთში არ ჩანს
არავინ)
- ის დღე მანიშნოს.

1974



ცა იმეორებს წვიმას

ზღვის სარკეს ჩასცქერის და
ცა იმეორებს წვიმას
და ელვა მისდევს ქუხილს,
თეთრი,
მწუხრისფერს ირთავს.
ქარი კი ტოტებს უხრის –
გაუვალ ტყეებს ზვირთთა.

1967



* * *

უამთა დარჯაკში გამოვლილს,
ვითარცა წინათ,

ახლაც გოცეგბს:

ღამეს დილა რომ გიადონებს.

წარსულიდან კი ყივის

ლაო-ძი:

"ოდეს მდაბლობენ,

კაცნი დიადობენ".

1973



* * *

ცისარტყელას ტოტზე ზიხარ
და შავ ღრუბლებს
თეთრად სწურავ...
ფერთა ზღვაში ეძებ ფერებს.
ოცნებამ კი ფრთა აწურა,
უკვდავება შეიფერე.

2005



* * *

ზღვის ფსკერზე იმალება,
ყველა იღუმალება,
ამიტომ სულ ბობოქრობს,
ღელვას წამით არ იშლის!
დაღუპულთა ცრემლებით –
დანისვლია თვალები,
არამარტო ავსულთა, ზღვა ბუდეა ქარიშხლის.

1986



* * *

ცისკრისას ანგელოზებმა,
როცა ღრუბლები გაწურეს,
მთებს მიმალული მთიები
იქცნენ ასად და ათასად –
დილით მზე,
ვითა ქალწული¹,
ამაღლდა "ცათა ცათასა"².

1964

¹ – ქალწული – იგილისხმება ღვთისმშობელი

² – "ცათა ცათასა" ნევემირეული ძლის-პირი. გვ. 825)



ბილგამეშივით

მზერას აღარ გაშორებს

ავთვალი და ავსული.

ჰელიოსის ნაგრამი მზეს ვერაფრით

ეშვილე

და ნიადაგ ხმა გესმის ნაღარის და

ბუკების.

აწ უკვე მზე ჩასული,

ექებ გილგამეშივით

"ბალახს განჭაბუკების".

2007



* * *

ძილად მიყრილან წყლისპირ ლოდები...
არაგვს კვლავ უსმენს ნარეკვავი
და ნატახტარი.
სითეთრეს იცვამს ზამთრის ტყე-ველი.
ლოცვით სავსე დგას
მთვარის საყდარი,
მხოლოდ ცამ იცის –
ვარსკვლავები რას
მეტყველებენ.

1997



ქარიშხალი, ზღვა და ტალღა

ღელვის მგელმა,

რომ უეცრად არ წარსტაცოს,

ბატკანივით,

მებადური "წყემსავს" ნავებს.

და ცა ჰყვავის ედემ ბადად.

სიცოცხლეს კი უნანავებს:

ქარიშხალი,

ზღვა და ტალღა.

1996



* * *

ცა რომ ღმერთთა სამეფოა
და მზის ოქროს ადევს კლიტე, –
ამ დიდ რწმენას –
ათასეულ
წლის წინ ბჭობდა ჰერაკლიტე.¹

1962

¹ დიდი ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. V ს)



ბრძენი დივნოს

იჯდე ჩამქრალ კერასთან და
დიაცივით ძაფს ართავდე...
(ასე ბრძანებს “ბრძენი დივნოს”)
სანამ სხვას ცუდს დამართავდე,
ჯობს ათასჯერ თავზე ივნო.

1979



ელვა წყვდიადში

ელვამ არა,

მაცხოვრის ხატებამ

ცად ინათა...

და გაბრწყინდა უეცრად –

აქ – ურთა,

იქ – სინას მთა.

1958



ტანთ გაცვია ვეფხისტყაჳი

პონტოს პირას კოლხურ ბაღში,
კვლავ შირაზის ვარდი ყვავის,
სხვა ფერის და
გემოსი.

და შენ, ჩემო, ვით მებაღეს,
ტანთ გაცვია ვეფხისტყაჳი,
ვარსკვლავითი შემოსილს.

2001



ასტროფოტომეტრები

ლოცვის ფრთები გამოისხეს,
“კოლხურმა ფსალმუნებმა”
და ასტრონომს ედრები,
სწავლობ მნათთა –
ბუნებას,
ასტროფოტომეტრებით.¹

1964

¹ ასტროს (ბერძ) – სინათლე, მეტრონ – ზომა



პარნასი

აჰა, მათა მწვერვალი,
სადაც ერთად შეერილან,
“ძველებიც” და “ახლებიც”.
შენც პარნასზე მათ აღაპს,
მაღე –
მიეახლები.

2016



პრეტა

ჰა, კრონოსი¹ და ტირინთი²,
ფესტო³,
მიკენი⁴ და
ჰაგია⁵...

ვინ წასული... ვინ მოსული...

აქ, კრეტაზე² – უუძველესი –

“კულტურაა მინოსური³”.

2000

¹ 1,2,3,4,5 – ქალაქები კრეტაზე (ძვ. წ. 3000 წ)

² კრეტა – კუნძული საბერძნეთში


³ მინოსი – კრეტის მითიური მეფე



უსაზღვრეობა

სხვა პლანეტების იქით –
არსებობს სხვა
კავკასიონის მთები,
სადაც ვარსკვლავთა ჯაჭვით,
ამირანი რომ ება.
არსებობს სხვა გოლგოთა
და ჯვარცმა,
ბობოქარი ოკეანეები და ზღვები,
სხვა მზე, სხვა დედამიწა და
სხვა ცა...

1960



მომავლად იქცევა წარსული

ვით მილიარდი წლის მერე,
მომავლად იქცევა წარსული...
ო, ასე,
შენს “კოლხურ ფსალმუნებს”,
ვითარცა სამყაროს,
არც დასაწყისი აქვს
და... არც დასასრული...

2015



შუა ხორბის სასაფლაო

ნაზი ჩხიკვაძის ხსოვნას

ჩაველ, ვნახე სასაფლაო,

ჩემი სოფლის –

შუახორგის.

რომ ხასხასებს მწვანე მოლად –

სული...

სული არის ნუთუ,

ჩემი სატრფო ნაზიბროლას –

ქალიშვილის ბაგრატ ჩუთუს.

2015



300 აფორა

აბოხოქრებულ ღრუბლების ზღვაში,
მთვარე ტივტივებს,
ვით აფორა,
მეხმა კი ელვით ცა გაროზგა...
შენს ციცქნა ლექსებს –
მეტაფორა
ყელზე კვლავ ჰკიდიათ ავგაროზად.

1958



ოკეანე

მზე კი არა,
ამირანის ცეცხლია,
მწუხრისას დასავლით რომ ბოლავს:
სხვებს რომ თოხი ეკავათ
ოყიანი,
მაშინ კი კოლხი აწრობდა ფოლადს
და სანთელს უნთებდა –
ოკეანეს¹.

1963

¹ „ოკეანე – არის მამა ყველა უკვდავთა...“
პომეროსი



მთეპი

დღისით და ღამით შენზე მლოცველნი,
ღირსნი არიან სიზმრად მოხილვის,
რადგანაც შენს ლანდს ისევ მიეღის:
ჩე გოლა,
ურთა,
მთა დანიელის,
მამადავითის და მთა პოხილი.

2001



წმინდა ელენეს კუნძულზე

გადაშლილია უამი და სიერცე,
მირიადი ცა რიალებს ფერთა...
სადღაც კუნძულზე –
წმინდა ელენეს:
უხილავს ვხედავ,
უსმენელს ვისმენ,
რადგანაც, ჩემო, “უფალმა ღმერთმა
გამიხსნა სასმენელი” (ესაია).

1983



ბასკები და ეტრუსკები

ძველ კოლხური ცული,
შუბი...
დოქები და ქვევრები –
ბაყბაყ დევის მუცლებით.
და... მტრებს გული უსკდებათ:
რომ ბასკები¹,
ეტრუსკები²,
ათასწლეულების მერე,
კოლხურად რომ უქცევენ.
1963

¹ ბასკები – ესპანეთში

² ეტრუსკები – (ეტრურია – ფლორენცია) იტალიაში



* * *

სადღაც უძრავ ვარსკვლავთა
თოვლიანი მთებია,
მთვარის გამოქვაბული
თითქოს და ეხი არი.
ბედზე მონადირენი სადაც სიკვდილს
არ ზღვავენ!
ღამის იქით გასწიე შენ სიცოცხლის
საზღვარი,
და შორეულ პლანეტებს
ჩუმად შეეხმიანე.

2017



**ხილვა: ნიუტონი, კოპერნიკი,
ჰერშელი, სტრუვე**

ზე – სამყაროს სიყვარულით,
პლანეტებმა შეიტყუეს...
და... ახლა იქ ბინადრობენ:
ნიუტონი,
კოპერნიკი,
ჰერშელი და
ბრძენი სტრუვე.

1963



* * *

დრო მოვა და პოეტები,
საფქვავი რომ არა აქვთ და,
მაინც გალას წისქვილს ყრიან!
და “ახალი პოეზიის”,
ვითომცა და ცეცხლს აჩაღებენ,
ვით ღვთისმშობლის ნაქსოვ კვართზე
ყაჩაღები.
შენს, ძველ “კოლხურ ფსალმუნებზე”
წილს იყრიან!!!

2017



ხეოფსის პირამიდა

ჰა, ერგასიც მიიღია,
სიკვდილი მაინც პირს გარიდებს.
ბოლოს,
საუკუნის მეოცის.
რადგანაც შენა ხარ პირამიდა –
ხეოფსის.

1992



კრეტა და ეტრურია

ერთმანეთის სიყვარულში,
ვინ რამინი ან
ვინ ვისი
(შესჩენია მტერს ურია!)
კოლხთა იყო –
საცხოვრისი,
კრეტაცა¹ და ეტრურია².

1984

¹ კრეტა – კუნძული საბერძნეთში

² ეტრურია – თანამედროვე ფლორენცია



**მილიონი სინათლის წლის
მანძილი**

გალაქტიკებს აკვანს ურწევ
და ვარსკვლავებს აძინებ,
რადგანაც შენ,
ჩვენგან ცხოვრობ,
მილიონი სინათლის წლის მანძილზე.

1967



**ხილვა: დანიელი,
ესაია, ზაქარია**

დღე-ნიადაგ შვიდგზის ლოცვით,
უფლის მადლი –
ხმელს ასხურეს...
და გაუყვნენ უსამანო გზას –
ქარიანს,
მაცხოვრისგან ხელდასმული –
დანიელი,
ესაია,
ზაქარია...

1963



ვარსკვლავების ასომთავრული

მთვარე მოჰგავს შამბალას,
ვარს მომდგარი ღრუბლები,
მთები არის ანდების,
სად ღვთის მადლი ბინადრობს –
იდუმალი,
ფარული.
და როდესაც ღამდება,
უხილავი ღამე წერს,
მნათთა ასომთავრულით.

1959



**იესო ქრისტე,
ჯოჯღანო ბრუნო**

გმირნი იყვნენ...
და ებრძოდნენ ღამის
წყვდიადს,
ვით ჩვევიათ გმირ მეომრებს...
ქრისტე ჯვარზე რომ არ ეცვათ,
და კოცონზე ბრუნო ცოცხლად
არ დაეწვათ.
ქვეყნად აღარ იქნებოდა –
არც ერთი და
არც მეორე.

1969



გალაქტიკა

ვის დაკარგვია მზეცა და მთვარეც,
რადგან ზოგიერთი გალაქტიკა,
ჯიბეში ჩაისვამს,
ათეულ მილიარდ
ამერიკას...
და არქტიკას.

1963



* * *

სალიერივით შხამ-სამსაღას,
მთვარის ფიალაზე
გისხამს ღამე,
ღანდი, ცის მინდორზე მორიალე...
და ოქროს წუთებს გიშხამავენ,
ვით იქედნე
და მორიელი.

1993



✠

სემირამიდას ბალი

ქართული ცის და მზისთვის მლოცველი,
ცამეტ ვერცხლად ხარ
გაყიდული
(რასა იქმნ...
ადარ გიდგას ამინდი).
რადგანაც შენი “ფსალმუნები”
ბალი არის დაკიდული –
სემირამიდას...

1994



“მოკვეთილი”

ფშაე-ხევესურეთით უბერავს,
ანდრეზ-მითების ქარიო.
და “ამობზარა” მიწიდან
ერთად ცოცხალ და მკვდარიო.
ისურვეს ჩემი “მოკვეთა”,
აჭედეს რკინის კარიო!
“იძიეს ჩემთა მოყმეთა
ოთხრქა,
ოთხეურა ცხვარიო”.

1960



ისევ კოლხეთი

ითელის ათასწლეულებს...
და, რა “თასი გრაალის”
ანდა “ოქროს საწმისი”.

გუშინ იყო მედეა –
აიეტის ასული!

და...

კოლხეთს,
ვით სამყაროს,
არ ჰქონია საწყისი,
არც ექნება!
სასრული...

1969



კახეთში

ნომარი ავსულებთან,
გადაჰყურებს კახეთს მეფე!
იქვე,
სული სასუღედან –
მკურნალ ტალახად ამოსდით
ახტლას და
ტახტი – თეფას.

1982



არაბზო

მთების ვეება სურჯინით,
ვით ვაჟა, ჩამოდის არაგვი,
უვარგა ხმაცა და
კილოცა!
იცის, რომ მცხეთასთან, მას მტკვარი
მოელის.
და მტკვრის პირ,
ვით ლოცვა,
დგას სეპტიცხოველი.

1962



* * *

ჟამთა ზღვაში დაკარგული
შენ,
კოლხური ანბანივით,
შენი გული,
ო, რა გულობს...
სიბრძნის მადლში –
განბანილო,
კოლხო!
დეღფოს ორაკულო!

1969



კოსმოგონია

ჰომეროსიც,

რუსთველიც,

სხვა არის და...

სხვები კი,

სამყაროს ვერ შეცვლიან,

რადგან დითირამბები

პოეზია ჰგონიათ!!!

შენთვის ლექსი ცეცხლია,

არის კოსმოგონია¹.

1961

¹ კოსმოგონია (ბერძ) – სამყაროს წარმოშობა



კოლხასა და ბაბილონს

არის ჭეშმარიტება...

მაგრამ ზოგს თუ ემცხეთა:

რომ ჩემად ვთვლი ქალდეველთ,

ეგვიპტელთ და ქანაანელთ...

კოლხასა და ბაბილონს,

პონტოს,

თბილისს და მცხეთას...

ქრისტეს...

რწმენას...

და მირონს...

1960



* * *

საიდანღაც მოსული

ქარი ღრუბლებს აბურღავს,

ზეცას ფერი ეღება

დამჭკნარ იასამანის.

შიში უღვათ მუხლებში:

ზღვას – დემონთა საბუდარს,

მიწას – ცოდვის სავანეს!

1965



ხეთი, ფუტი

ფაზისის და პონტოს პირას,
ხმა რომ ისმის ყოველ ღამით,
აღბათ ნოეს¹ შვილი არის,
ოთხი ვაჟის მამა – ქამი.
ის დაეძებს ნაშიერებს,
ათასწლეულია ხუთი.
და კვლავ უხმობს – სად ხართ: ქანაან!
ქუში!
მიცრამ!
ფუტი!

1962

¹ „ბიბლიურ ნოეს სამი ვაჟი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფუტი. შუათანა ბიჭს – სემის – ოთხი“ (ბიბლია, თავი 11,15)



ზღვა და სოფელი

სიცოცხლის და სიამის,
მარად უარმყოფელი...
(სიგიჟეა, ღმერთმანი!)
როგორ ჰგეანან ერთმანეთს
ზღვა და...
ესე სოფელი!

2001



ასფოდოლი

შორეულ წარსულის მინდორზე,
რომ ამბობს კოლხურად სიმწვანეს,
მედეას მკურნალი “მოლია”,
რომელსაც აქ აჩენს ბუნება...
შენი სტრიქონები “ასფოდოლია”¹,
რომლითაც ხალხები იკურნება.

1975

¹ “ასფოდოლი” (კოლხ-ბერძ) – “ასფოთოლა”, მოლი, მედეას სამკურნალო ბალახი



* * *

წარღვნებიდან გადარჩენილთ,
ვინც უძლოდა წინ ღამპარით,
რომ ეპოვათ სიმყუდროვე –
კოლხ-იბერთა წინაპარი,
ბიბლიური იყო ნოე.

1968



ფაზისი (კოლხეთის)

აკადემია – 1800

ჯერ ჰე,

როდის... 1800

წლის წინ კოლხეთს,

აქ ფაზისთან,

უსწავლია ორ გენოსს –

ფილოსოფოს მამა და შვილს –

თემისტიოს,

ეკგენიოს...


1996



ხილვა: წმინდა ისაკ ასური

მეათე ცის კაბადონზე –
ლოცვის კიბეებით ასულს,
და სიშორის მადლით მოსილს,
უფლის მონა ისაკ ასურს –
უგალობენ ანგელოზნი.

1957



* * *

კოლხ-იბურთა ისტორია,
ვით დელფინი გარიყული.
ხსოვნის ზღვისპირ –
სულს ძლივს დაფავს.
ბიბლიიდან ვილაც უხმოდ,
პონტოს პირას ჩუმად უხმობს
ნოეს,
როგორც პაპის, პაპის,
პაპის, პაპას...

1958



კოლხური ოდა

კაცის არა,

უფლის ხელით,

ნაქარგია კოლხურ ოდის

ეს რიკული...

და ეს ლექსიც – “ეგზო¹” – არა,

არის “ეზოტერიკული²”.

1958

¹ ეგზოტერიკული (ბერძ) – გარეგანი, გარეშე) – დაუფარავი, რაც განკუთვნილია ყველასათვის

² ეზოტერიკული – (ბერძ) – შინაგანი, საიდუმლო, დაფარული



კოლხეთი – VI საუკუნე

მათი სიტყვის სიღიადეს,
მზის ბეჭედი ისევ აზის,
ინახავენ მტკიცედ დრონი,
ერთის არა,
ორად ორის,
ორი დიდი ორატორის –
“ორი კოლხი ციცერონეს” –
აიეტის და ფარტაზის.

1959



**ხილვა: სვიმეონ ღვთისმეტყველი და
ნეტარი ავგუსტინე**

ვით სვიმეონ ღვთისმეტყველი
და ნეტარი ავგუსტინე
(მეც ღამეებს თეთრად ვათევ)
და ველი ღვთის ციურ ნათელს, –
ჩემთვის თვალისჩინის
წამრთმევს.

2009




* * *

შორეთს მიმავალი ათასწლეულები
მხრებზე ასწლეულებს გადიშლიან
და მიუვალ კლდეებზე აწერენ:
რომ ეგროსი,

ქართი და ხეთი,
ნოეს ბაღიშის
ბაღიშია.

1970



ხილვა: ფუთი

თვით ქრისტემდე...

იქით ათასწლეულთა...

როცა ზოგი მძორს რომ ჭამდა,

სწორედ მაშინ,

სიუხვით და ბარაქით,

“ემერთ” (მეგრელთ) და ლაზ-ჭანთა,

“ფუთი”¹- (ფოთი) იყო

დედაქალაქი.

1958

¹ ...მიქელ ასურის სომხურ თარგმანშიაც ფუთი (ფოთი ვ. ე.) მეგრელთა დედაქალაქად არის დასახელებული”.

ივანე ჯავახიშვილი

“ქართველი ერის ისტორია”

(ტ. II, გვ.48. 1949 წ.)



* * *

პირამიდის “ოსტატებთან”
და ეგვიპტელ ქურუმებთან –
ახლო – მახლო გიდგას “ქოხი”,
მაგრამ მათი “სრა-სასახლის”
წინ,
არ ჩაგივლია მოხრილს.

2016



* * *

პოეზიის დიდგორის ველზე
დიღხანს იბრძოლი
და ბრძოლებში “ივარგე”!

შენც,

ვით დავით მეოთხეს,
ფარულად,

სულ თან გახლდა,
უწმინდესი “გივარგი”.

1994




ფაზისს – ჰელიოსის ძევ

უნდა დაგაქორწინოს
 ღმერთკაც ნილოს¹ ასულზე –
 უფლის მადლით მოსილზე.
პონტოს სანაპიროზე –
 აიეტი დაგვეძებს
 ფაზისს²! –
 ჰელიოსის ძევ!

1964

¹ ნილო – მდინარე ნილოსის ღმერთი

² ფაზისი და აიეტი – მზის ღმერთის – ჰელიოსის ვაჟები



თეთრი ბიორბი

რადგან გესმის თეთრი მხედრის,
თეთრი რაში ჭიხვინი,
მოქათათე რწმენის თოკით,
პონტოს პირას დაები.

სულის თვალით –

იქ იხილავ,

ნათელს – ბნელს და ღვთაებრივს.

1969



საქართველო არის ცეცხლი

ქუხილის და “მეხთმტყორცნელის”,
არ გაშინებს რისხვა ზევსის
და ვით ამირანი, კაცობ.

საქართველო არის ცეცხლი
და ღმერთს უნდა
გამოსტაცო!

1971



ხილვა: რამზეს II

ფაზისთან და ყულევთან,
უშქარი და
 ულევი
ლაშქრით მოდგა მრისხანე,
დიდი რამზეს-II.¹
ცეცხლით ხვდება კოლხეთი
მეფეს და მის მეომრებს.

1959

¹ რამზეს II, ვევიპტის ფარაონი (ძვ. წ. XIII ს)



“პილხა”, “კულხა”, “პოლხა”

გარდასულთა ქარს მოაქვს,

გმინვა...

კენესა...

და ოხვრა...

აღბათ, ქაღდეველები –

არყოფნის ზღვას ერთვიან...

“კილხა”,

“კულხა” და

“პოლხა”,

ვით სამება, ერთია!

1965



* * *

ღღისით თაფლის სანთელს უნთებ,
უპირველეს შენს საესავს.
ღამით ღოცვით გითრთის ბაგე.

ცაში –

მნათთა რწმენას თესავ,

ზღვაში –

სიბრძნის ტაძრებს აგებ.

1967



ხეთა

ჩემს ხეთაში ვარ და მიწაზე
ველარ ვებევი,
რადგან ხმა მესმის წინაპარი –
ბეელი ხეთების¹
და მელოდება ღია
ორმო ცის.
და მიიღია წელი ორმოცი,
რაც მოსესავით
უდაბნოში დავეხეტები!!!

1981

¹ ხეთა – პრესტორიული სოფელი ხობის რაიონში



* * *

ვინც ღოცვით და
სიყვარულით,
მიუსხდება უფლის სუფრას,
ის ცეცხლსა და გეჰენიას,
აღარ უნდა შიშობდეს!
ვინც ნუგეშს სცემს
ჭირისუფალს,
ის მადლს სწირავს ღვთისმშობელს.

1972



* * *

სიმაღლე და

სინათლე –

ვარსკვლავებმა შეგინდეს!

ბრწყინავს ზეცის კარიბჭე,

დავიწყების ველ-მინდვრებს

შეიდგოს გადააბიჯე.

1966



ნაკადულივით იდინოს

სანამ ხარ, ესე სოფელი,
არ უნდა ჰგავდეს ნასუფრალს!
პირიქით...

ცერზე, ვით მარეკს,
მზე უნდა გესვას მიმინოდ,
რომ სიხარულად ამ სოფლად
ნაკადულივით
იდინოს.

1975



2000

ოცჯერ ასი წელია,
რაც გერგეთის ბეთლემში
ღღე და ღამე დაეძებ –
ქრისტეს ოქროს აკვანს და
ვერცხლის კარავს აბრამის.
რაც ქართველთა მოშურნე
მტრებს რომ ასე აბრმავებთ.

2000



გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი – 1983

ქარებით თმაგაწეწილი,
სახედაკაწრული ელვით –
დგას ჭიშკართან გაზაფხული,
დედაჩემის თვალეზივით ცრემლით სველი,
დედაჩემის კაბასავით
დათაღსული.

1981



* * *

გაზაფხულის სიმწვანედ
ქონავს ხმები –
ვასაკის.

ჰოი, რა სადამოა!
სივრცე –
უსამანოა,

უამი კი – უასაკო!

1960



ოღმეკებს და ჩაწინებს

როდის იყვნენ, ვინ იცის,
ჩვენი “ეა”¹, “აია”²,
მაგრამ ათასწლეულებს
ითვლის “კუტაია”²...
უფლის ხატი ატყვია
კოლხურ ოდის აივნებს.
რა ხელი აქვთ კოლხებთან
ოღმეკებს³ და ჩაწინებს³!

1968

¹ პრეისტორიული კოლხური ქალაქ-სახელმწიფოები.

² ქუთაისი – 3500 წლისაა.

³ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მშენებელი ხალხები (ძვ.წ.X-ს.)



ირმის ნახტომი

რადგანაც სამყარო ომია,
ისმის ქუხილის ხმები.
და შენი ლოდინით დაღლილი –
ათასწლეულები წინ არი.
“კოლხური ფსალმუნები” –
ირმის ნახტომია,
მილიარდ ვარსკვლავით მბრწყინავი,
ნაწერი სინათლის წლებით.

1989



ლოცვა მარადიული

დღისით მზისა და ღამით –
მისდევ მთვარის ბილიკებს
და ზეცისკენ ვიურვი...
უფალთან გზას მიმიკვლევს

ლოცვა –
მარადიული.

1968



ლეგენდები და მითები

ვითარც მე მათ...

აღბათ მერე,

ჩემს ტოლ სანთელს დამინთებენ,

რადგან ჰქონდათ

ჩემს ძველებთან

დავა ახლებს:

რომ "ბერძნული ლეგენდები და

მითები",

ჩემი იყო და...

კოლხეთში დავასახლე.

1968



ვაჟინერს

პირი შენს დღეს –

ხვალინდელს,

სასიკეთოს არ უგავს:

ხვედრს გიმზადებს საშინელს!

რადგან ღმერთს ხმობ

აუგად,

ეს კი აკრძალულია –

ვაშინერს!

1992



უფლის სახელით

საკუთარ ხვედრზე ნამტირალევი,
გამთენიისას ღამე

მოვარეს ამოახველებს,
იმქვეყნიური ამოჰყვება

შავი ნაღველი.

მერე სამყარო განათდება

უფლის სახელით,

ცა ვარსკვლავებად გამოისხამს

ლოცვებს –

აღვლენილს.

1977



* * *

ვარსკვლავები?!

რასა ბრძანებ!

ცაა – ასპარეზი ორთა:

დღისით მზე და

ღამით მთვარე,

უფლის კართან სცემენ ბოლთას.

1970



ისევ კოლხური სული

შორს არიან და ვერ ძლებენ
და მოყვავილე სიზმრებში
კოლხეთს ხედავენ მუდამ –
პირამიდებში ეგვიპტის:
არც სპარსების და
ბერძნების
და არც შივას და ბუდას,
არამედ ფასის¹...
და ოდოს² –
კოლხური სული ბუდობს.

1968

¹ – ფასისი (ფაზისი) – ჰელიოსის ვაჟი, კოლხოსის მამა

² – ოდო – კოლხურ პანთეონში – ერთ-ერთი მთავარი ღვთაება



* * *

აყვავებული გველის ედემი
და ჩვენც სამოთხის კარად
ვიურვიო...

გზად

წუთისოფლის –
კბილს გეჭრის ნაყოფი,
არაფერია მარადიული,
გარდა არ ყოფნის!

1999



* * *

მთვარე მეტეხთან რომ იძირება,
არ ვიცი, რატომ,
მე მგონია ნავი ქარონის;
ელვა კი მისი მისაბმელი
ოქროს საბელი.
მოდის სიკვდილი რაშის თქარუნით,
დიდი სინათლით –
სივრცეს აბნელებს.

2001



* * *

ქარის გაბურძენილი თმებით,
ზღვა ნაპირთან
მოჰგავს შეშლილს:
ცდილობს ლოდი ქვიშად დაფქვას.
და მწუხრი,
ცის "ოგვაჯეში"¹
დადებს მთვარეს,
როგორც მარქვალს.²

1967

¹ – ოგვაჯე (მეგრ) საბუდარი

² – მარქვალი (მეგრ) კვერცხი



ცა

სიშორე და სიმარტოვე
თავზე ქუდად აფარია.
მთვარის კარი –
სულ აქვთ ღია.
და ცა მოჰგავ ჩაფარიას¹,
მოფუთფუთე ვარსკვლავები
აბრეშუმის მშიერ ჭიას.

1961

¹ – ჩაფარია (მეგრ) მოჭრილი სიმინდის ღეროებისგან გაკეთებული დობე-წნულები



მ ა ი ნ ც

გზას წყვდიადი მიბორკავდა,

ზვირთთა ლოდებს

ზღვა მიშენდა.

ყელს მიჭერდა ელვის ყულფი.

მაინც მოველ, ცაო –

შენთან,

დიდი "ფსალმუნებით" უფლის.

1989



* * *

ხარჯიხვი დილის რქეების ჯახანით
წუთი-წუთ გახსნის
კლდეთა დარაბებს,
პირდაბჩენილი უფსკრულები
შიშს ვერ ფარავენ.
და...

უამი, როგორც ბიჭი არაბი,
ცის უდაბნოში კუზიან მთებს
მიაქარავენებს.

1966



თეთრი თაგვები

ღამეები კი მარადიულ

ძილს კვლავ გვაჩვენენ,
ჩქარობენ ჩვენთვის წესის აგებას.

სამარის კარი მოგვეღის ღია.

და ეს დღეები – თეთრი თაგვები,

სიცოცხლეს ჩვენსას ღრღნიან

და ღრღნიან...

2005



ვერაჰინ შეაჩერებს

სადღაც მარადისობის "პოდიუმზე"

წვეულებს,

სულ ბრმა საუკუნეებს

და ყრუ ათასწლეულებს,

ვითარც თოვლის ქვეყნიდან,

გრგვინვად დაძირულ გლეტჩერებს,

შენს გზას –

დიდო მგოსანო,

ვერაჰინ შეაჩერებს.

1986

* * *

ვით მოწყალების ღამაში დები,
ისე მოჩანან

ეს მთა და ბექი.

ივსება შემოდგომა მნახველებით:

ხეებს სჭირს ჭლექი

და ყვითელ ფოთლებს

ახველებენ.

1967



არწიზი

მომესმის მისი ღვთაებრივი ფრთების
ფათქუნი,

ღვიძლის საკორტნად მოდის
არწივი,

იცის ციურმა,

რომ მის ლოდინში

ოქროდნაქსოვი ღამეები რომ მითევია.

და, ჰა, "კოლხური ფსალმუნებიც",

ვით შესაწირი,

საკურთხეველსა მისსა ზედა

მომირთმევია.

1976



იალუს მინდვრები

წავალ...

მაგრამ მე ვიცი,

ისევ შენ მომინდები.

თქმასაც ვეღარ მოვასწრებ:

წამსვე გამაცოცხლებენ

მე იალუს "მინდვრები"¹,

ვითარცა აცოცხლებდა მეფესა და

ფარაონს.

1963

¹ – იალუს მინდვრები (ეგვიპტ) – სამოთხე



* * *

იცოცხლა მან წელი ამდენი,
ისე, რომ ჯანს ჰქონდა
სიმრთელე.
და... მოკვდა ამა და ამ წელს,
– ვიღაცა მოხუცი
ქვისმთლელი,
შენს ღოდზე ღამაზად დააწერს.

2007



* * *

ვითარც კოლხეთი მდგარი ზღვისკარად,
დიდო პოეტო,

კაცო საწყალო!

დიდის მზესავით როგორ იზრდები.

შენც, ვით ილიას,

აწმეო არ გწყალობს,

მწამს, მომავალში გაიხიზნები.

2006



ბუნობა¹

იქით მოჩანს ნათელი,
აქ კი უფრო ბინდია.
ვითარც ადრე, დღეები –
ღამეებთან ბუნობს.
მე კი ამაქვეყნიდან
მივალ
შურუბუმუოდ.²

2007

¹ – ბუნობა მარიოტა (დღე და ღამის გასწორება მარტსა და სექტემბერში), მზის მოქცევა

² – შურუბუმუოდ (მეგრ) უხმოდ, უსიტყვოდ



* * *

მერე აღბათ...
 იმდენ მკვდრებში,
 ველარ შევძლებთ ერთმანეთის
 უცვებ პოვნას,
 რადგანაც ჩვენ ცუდად ვიცნობთ
 იმ სამყაროს.
 ამიტომ ჯობს: მუჭა მიწა,
 ვითარც ხსოვნა,
 მიცვალებულს სამარეში მივაყაროთ.

1989




* * *

ქოსიდან ამოსული –
ათას ქარში ნარწევია
ხმა და სიტყვა –
აქაური.
კოლხეთის ცა ნაწურია
მურიცხებით* –
არქაულით.

1970

* მურიცხი (მეგრ) ვარსკვლავი



* * *

აქვე,
ქართლის შუაგულში,
სიახლოვის ქვიტირის,
ვიღაც დგას და...
წარსულში,
ჩვენი ფესვების ამომთხრელს
სწყევლის...
და თან მისტირის:
მოყვავილე ედემ-ბაღს...
და დაკარგულ სამოთხეს.

1974



* * *

გადაუფრენენ კოლხეთს ღრუბლები –
მედვას ღალატს

ჩამომტირებენ,

და სხვა არაფერს არ აშავებენ.

ცა გადაიქცა მათთვის მიწურად...

ოცდაცამეტი საუკუნე დღეს

მიიწურა,

რაც რომ აცვია პონტოს შავები.

1964



პარტიები

(ხუმრობით)

პროფ. ზურაბ ლიპარტიას

"მრეწველებს" და "დემოკრატებს",

"შემარჯვენეთ",

"შემარცხენეთ",

ამ პარტიას...

იმ პარტიას...

ვით იტყოდა წინაპარი:

"ვახვარ მუთუნ ლიპარტია."*

2001

* ვერ უშველის ვერავითარი ლიპარტია (მეგრ)



კოლხების და ლაზების

რაც დრო გადის, საქართველოვ!
უფრო მელამაზები,
რადგან ძარღვში
სისხლი გიდულს –
ჩემი დიდი წინაპრების:
კოლხების და
ლაზების.

1973



კოლხელიც და ტროელიც

"ტროელები და კოლხები
ერთი ორიენტაციის ხალხია".

ჰეროდოტე

ბერძნები სისხლს აწვიმებენ,
გულებად კლდე უდევთ სალი, –
მუდამ რისხვის მთოველი.
მათ დამხობად შუბს ლესავენ:
კოლხელიც და
ტროელიც.

1969



* * *

ცის ლოცვით სავსე ტაძარს,
ღვთით ძლიერს, განა უძღურს,
უნთია ვარსკვლავთ კვარი.

ღღეს –

მზეს აწოვებს ძუძუს,

ღამეს –

ბოჩოლა მოვარე.

1980



* * *

ო, ამ ღამემ კაკაჩიამ,
რად შეიხსნა ერთადერთი
 მოვარის ღილი,
ან ეს მთები უფლის ბჭემდე
 რამ აზიდა?!
ან მთიების ტაროები რად გვიღიმის,
კოლხური ცის –
 მაღაზიდან*.

1961

* მაღაზი (მეგრ) – სასიძინდე



* * *

იმედის ყოვლის დაცამლეწავი,
სულის შემპვრელი და
შემზარავი,
არის მომენტი, როცა ცა და მიწა
ერთდება.
მაგრამ ამქვეყნად იცის არავინ,
ზოგჯერ თუ რატომ,
დუმან ღმერთები.

1986



კოლხეთი XXXIV-XXXII სს.

ფიხუნია¹ ფიხუნიობს...

სავლაკი² კი კვლავ სავლაკობს...

კოლხეთი არ იცვლის იერს:

ეს აგიუებს:

პლინიუსს და

დიოდორე სიცილიელს.

1972

¹ – ფიხუნია – კოლხეთის, აიეტის წინარე მეფე (დაახ. XXXIV ს.)

² – სავლაკი – აიეტის შთამომავალი, კოლხეთის მეფე (დაახლ. XXXII ს.) რამზეს მეფის თანამედროვე



წარსულში სძინავს

გუშინწინ არა,
 გუშინ მოსულნი,
გადავიწყების შურით ფარავენ,
კოლხეთში მოსულ –
 წარღვნამდელ წვიმას,
ჩემს ზღაპრულ კოლხეთს
უსამანო წარსულში სძინავს,
რომ გაადვიდოს არა ჩანს არვინ.

1961



* * *

ადამის მოდგმა –
 დღიდან გაჩენის,
იხდის სიცოცხლეს,
როგორც ბეგარას,
რადგანაც მასში მეტია კოლო*.
 აქ, მოსულთათვის,
არ-რა არის გაუგებარი,
თვითონ სიკვდილსაც გაიგებს ბოლოს.

2004

* კოლო მწარე (მეგრ)



* * *

ყოფნა,

არყოფნა ჰკიდია ფუნჯზე,

ათასში ერთი თუ გაუძღვს

ფიქრებს ამაზრუნს.

რას იქმნ...

ასეა წესი გამჩენის.

მხატვრის სული კი ფერად რჩება

ძველ მუშაობაზე,

იყო,

არ იყო...

არვინ იცის სხვა დანარჩენი.

1992



* * *

სულ სხვა სითბო,
სინათლე,
ახლავს მზეს ჩვენებური...
და ჩემს "კოლხურ ფსალმუნებს"
მჭვირვალ ნისლად ებურვის –
ტკბილი მოგონებები
მეგრულ ღარჭა-ყებურის.*

1966

* ყებური (მეგრ) – შუაკერა



* * *

უთავბოლოა ჟამი ბებერი,
მიტომ დღეები სასიკვდილოდ
მარადის გვეგვენ...
თუმც მზე გვესახვის ამქვეყნიურ
ყოფნის სიმბოლოდ.
და... ყოვლის მმუსრავ დროს ადრიან
ცხრათავა დევებს,
მაგრამ ცდებიან,
დროს არა აქვს თავი და ბოლო.

1989



ხახული

აჰა,

ხახული:

აწ მომავალში –

წარსულის მწარე მოგონებად

გადანახული.

1979



* * *

"დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე,
მეორედ მოსვლისა, მესიის საწამებლად..."
იოანე ზოსიმე

ბევრი ათასწლეულის –
გარს ავლია მესერი,
შიგ ხმა ისმის კოლხური,
ცალპასავით¹ მძვინვარე.
და ჩვენ ვიცით –
ვინც არის.
გაიღვიძებს "ეს ერი!"
"დღესამომდე მძინარე".

1966

¹ – ცალპა (ცალფა) (მეგრ) ცალგასასვლელიანი ზღვა
– შავი ზღვა იგივე პელესპონტი, ევქსინის პონტი

* * *

უსასრულობა –
არის ისარი,
მარადისობის ხელით ნასროლი,
ცის უსამანო დროში
მქროლავი...
უფალი თავის სიტყვას ასრულებს:
რომ თვითონაა –
უსასრულობა,
უსასრულობას არ აქვს სასრული.

1986



ფარსმან ქველის ქველობა

ერთი კი არა,
თითქმის ორი ათასწლეული
გავიდა,
რაც რომ ესმა სამყაროს
ხელმწიფის –
ფარსმან ქველის* ქველობა.
თვით სიკვდილიც კი
ბუზს ვერ აუფრენს,
მარადისობის უღმობელობას.

1988

* ფარსმან ქველი – ქართლის მეფე (მეორე საუკუნე)

* * *

ვითარცა ადრე სოფელი,
კვლავ მოღაველავეა,
და მთვარე ყურს მოჰგავს
გატეხილ ხელადის.
ახლა კი ღამეა,
მის გარეთ დღე დადის.

1968



ხურიტებს და ელამელებს

ცას და მიწას ედებთან,
თუმცა ათასწლეულები,
ქვებს და რისხვას დაუშენენ
(დრო მათ ლტოლვას

ვერ ანელებს).

პროტოხეთებს¹ და მუშენებს²,

ხურიტებს³ და

ელამელებს⁴.

1972

1,2,3,4 – ქართველთა შორეული წინაპრები



* * *

ღამით სავსე ცის ჭურჭელი,
მთვარითაა დაცობილი.

ღილა

მზეს არ უღებს კარებს.

სიცოცხლესთან ვარ ცოდვილი,

სანამ სიკვდილს დავატარებ.

2004



* * *

შორით გველამაზება
სარფიცა და
გონიოც.
და ზოგ "კეთილ" მეზობელს,
მიწა მეგრელ-ლაზების
თავიანთი ჰგონია.

1994



დღევანდელი საქართველო

არც ხეთი ჩანს,

არც მიდია...

ის კი ბრწყინავს და

ნათელობს

და უამს ვერ მოუხელთია.

დღევანდელი საქართველო –

უძველესი კოლხეთია.

1963



სარჩევი

შესავალი5

დღეები25

უწარწერო ლოდები.....26

ქადილი27

ზაფხული ტყეში28

ქსანს და ბაგინეთს.....29

* * * ღამე გამოდის ცის ბუნაგიდან.....30

წმინდა ლანდები.....31

ნატურმორტი.....32

მტრედი.....33

ივლისი ზღვაზე.....34

დღეები მიაქვთ ქორებს.....35

* * * თუმც გვიან, მაგრამ.....36

წევს უზრუნველი37

ცამ ელვის დანით.....38

* * * ვითარც დროშას.....39

* * * გამთენიისას მთები თეთრად
ამოთავთავდნენ40

* * * ხან დემონი ხარ, ხან ანგელოსი41

ჩემი სორგა.....42

ცეცხლი.....43

* * * რჩეულ ტალღების ურდოს.....44

* * * ო, დმერთო ჩემო!.....	45
* * * საუკუნეთა მტვრიან საცერში.....	46
* * * იასამნების ლურჯი გალობა.....	47
* * * სამარადისოდ დღეფასა და.....	48
* * * ზეცას სდიოდა სისხლი შვიდფერი.....	49
* * * განთიადისას რომ აგუგუნდეს.....	50
ჰე, პოეტებო.....	51
ჩემი გული.....	52
* * * წარსული უცებ ამომზიანდა.....	53
* * * შურით.....	54
ბროწეულები ყვადნენ.....	55
არმაზის ნეკროპოლი	56
ტერენტი გრანელი.....	57
მთან მალაღნი.....	58
გრიგოლ ხანძთელის რუკა.....	59
* * * მიწას.....	60
აბო თბილელის გახსენება.....	61
* * * ქაოსი კი.....	62
ნოქალაქევი	63
* * * თავზე დამჩხავის	64
შენით ვიწყები	65
* * * სიცოცხლის გზაზე.....	66
* * * ფრთებგაწვართული წეროებივით	67

* * * არავინ არ ჩანს.....	68
მზე, ვით ფრინველი.....	69
გვასწავლის ბრძენი.....	70
* * * მეგონა, დედა მარად ივლიდა.....	71
* * * ამოვარდება იჭვი ქარივით.....	72
ცხრამნათი.....	73
ფოთლებად ყრია.....	74
ცისიერი და მსასოფარი.....	75
ან ასე რატომ ზანზარებს.....	76
დიდი ხანია.....	77
სხვა არაფერი.....	78
ჩემი მდინარე.....	79
ზღვის ლურჯ ტილოზე.....	80
და ააყვავებს ციცინათელებს.....	81
ანდერძი.....	82
იასამნები.....	83
* * * მზე უცებ მოჰყვა ზღვის ნანგრევებში.....	84
დაჩი და ზურაბი.....	85
მზის გადასარჩენად.....	86
იულიუს კეისარი.....	87
მესხეთში.....	88
"ურმული".....	89

გაღმა ნაპირი.....	90
* * * თოვს.....	91
* * * ცა წუხდა ღამის ჩამქრალ თვალეზე.....	92
კოლხური სადამო.....	93
* * * ღამე.....	94
მიწა.....	95
* * * ცაში ისევ ადის ლოცვად.....	96
ცის ყვავილები.....	97
* * * მთებზე შემდგარო თბილისო.....	98
* * * სიცივეს ცივა.....	99
* * * სანაპიროზე შავით მოხილი.....	100
ღამე.....	101
ზღვა და ხმელეთი.....	102
ჩალურჯებია თვალები იას.....	103
* * * მზე ოქროს ფრთებს შლის.....	104
როიალი.....	105
დაჩის.....	106
* * * დაკეტილია სიყრმის კარები.....	107
* * * ნისლში მცურავი დედამიწის.....	108
პირველი მერცხალი.....	109
პიკასოს და მოდილიანს.....	110
* * * მიდის ბინული და ბროლის ტანს.....	111

* * *	"ნანას" რომ მიმდერს ხობისწყალი.	112
* * *	ღამეულ ბაღში დგას შემოდგომა.....	113
* * *	შენსკენ მარადჯამს.....	114
	დედას.....	115
	ოფას შუკა.....	116
* * *	მეხთატეხა... ..	117
	ეკლესიაში.....	118
* * *	გარდასულ დროთა ვარ მოგზაური.	119
	ჯოდო.....	120
* * *	შავი ზღვის თვალში	121
	ცა მშობლიური.....	122
* * *	უცებ დაიმსხვრა ჩემი ბომონი.....	123
	ცა იმეორებს წვიმას.....	124
* * *	უამთა დარჯაკში გამოვლილს.....	125
* * *	ცისარტყელას ტოტზე ზიხარ	126
* * *	ზღვის ფსკერზე იმალება	127
* * *	ცისკრისას ანგელოზებმა	128
	გიღგამეშვივით	129
* * *	ძილად მიყრილან წყლისპირ	
	ლოდები.....	130
	ქარიშხალი, ზღვა და ტალღა.....	131
* * *	ცა რომ ღმერთთა სამეფოა.....	132
	ბრძენი დივნო.....	133

ელვა წყვდიადში.....	134
ტანთ გაცვია ვეფხისტყავი.....	135
ასტროფოტომეტრები.....	136
პარნასი.....	137
კრეტა.....	138
უსაზღვროება.....	139
მომავლად იქცევა წარსული.....	140
შუა ხორგის სასაფლაო.....	141
ვით ამფორა.....	142
ოკეანე.....	143
მთები.....	144
წმინდა ელენეს კუნძულზე.....	145
ბასკები და ეტრუსკები.....	146
* * * სადღაც უძრავ ვარსკვლავთა.....	147
ხილვა: ნიუტონი, კოპერნიკი, ჰერშელი.....	148
* * * დრო მოვა და პოეტები.....	149
ხეოფსის პირამიდა.....	150
კრეტა და ეტრურია.....	151
მილიონი სინათლის წლის მანძილი.....	152
ხილვა: დანიელი, ესაია, ზაქარია.....	153
ვარსკვლავების ასომთავრული.....	154
იესო ქრისტე, ჯორდანო ბრუნო.....	155
გალაქტიკა.....	156

* * * საღიერივით შხამ-სამსაღას.....	157
სემირამიღას ბაღი.....	158
“მოკვეთიღი”.....	159
ისევ კოღხეთი.....	160
კახეთში.....	161
არაგვი.....	162
* * * ჟამთა ზღვაში დაკარგული.....	163
კოსმოგონია.....	164
კოღხასა და ბაბიღონს.....	165
* * * საიღანღაც მოსული.....	166
ხეთი, ფუტი.....	167
ზღვა და სოფელი.....	168
ასფოღოღი.....	169
* * * წარღვნებიღან გაღარღენიღთ.....	170
ფაზისი (კოღხეთის) აკაღემია – 1800.....	171
ხიღვა: წმინღა ისაკ ასური.....	172
* * * კოღხ-იბერთა ისტორია,.....	173
კოღხური ოღა.....	174
კოღხეთი – VI საუკუნე.....	175
ხიღვა: სემიღონ ღვთისმღეტვეღი.....	176
* * * შორეთს მიმავაღი ათასწღღეუღლები.....	177
ხიღვა: ფუთი.....	178
* * * პირამიღის “ოსტატებთან”.....	179

* * * პოეზიის დიდგორის ველზე.....	180
ფაზისს – ჰელიოსის ძვე.....	181
თეთრი გიორგი.....	182
საქართველო არის ცეცხლი.....	183
ხილვა: რამზეს II.....	184
“კილხა”, “კულხა”, “კოლხა”.....	185
* * * დღისით თაფლის სანთელს უნთებ.....	186
ხეთა.....	187
* * * ვინც ლოცვით და.....	188
* * * სიმაღლე და.....	189
ნაკადულივით იდინოს.....	190
2000.....	191
გაზაფხული – 1983.....	192
* * * გაზაფხულის სიმწვანედ.....	193
ოღმეკებს და ჩავინებს.....	194
ირმის ნახტომი.....	195
ლოცვა მარადიული.....	196
ლეგენდები და მითები.....	197
ვაშინერს.....	198
უფლის სახელით.....	199
* * * ვარსკვლავები?!.....	200
ისევ კოლხური სული.....	201
* * * აყვავებული გველის ეღემი.....	202

* * * მთვარე მეტეხთან რომ იძირება.....	203
* * * ქარის გაბურძგვნილი თმებით.....	204
ცა.....	205
მაინც.....	206
* * * ხარჯისხე დილის რქეების ჯახანით.....	207
თეთრი თაგვები.....	208
ვერავენ შეაჩერებს.....	209
* * * ვით მოწყალების ღამაზი დები.....	210
არწივი.....	211
იალუს მინდვრები.....	212
* * * იცოცხლა მან წელი ამდენი,.....	213
* * * ვითარც კოლხეთი მდგარი ზღვისკარად.....	214
ბუნიობა.....	215
* * * მერე ალბათ.....	216
* * * ქაოსიდან ამოსული.....	217
* * * აქვე.....	218
* * * გადაუფრენენ კოლხეთს დრუბლები.....	219
პარტიები.....	220
კოლხების და ღაზების.....	221
კოლხელიც და ტროელიც.....	222

* * * ცის ლოცვით სავსე ტაძარს, ღვთით.....	223
* * * ო, ამ ღამემ კაკაჩიამ... ..	224
* * * იმედის ყოვლის დაცამლეწავი.....	225
კოლხეთი XXXIV-XXXII სს.....	226
წარსულში სძინავს.....	227
* * * ადამის მოდგმა.....	228
* * * ყოფნა.....	229
* * * სულ სხვა სითბო.....	230
* * * უთავბოლოა ჟამი ბებერი.....	231
ხახული.....	232
* * * ბევრი ათასწლეულის.....	233
* * * უსასრულობა.....	234
ფარსმან ქველის ქველობა.....	235
* * * ვითარცა ადრე სოფელი.....	236
ხურიტებს და ელამელებს.....	237
* * * ღამით სავსე ცის ჭურჭელი.....	238
* * * შორით გველამაზება.....	239
ღღევანდელი საქართველო.....	240

2020.08.15

"საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირი" 100-ბრუნავს
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში
საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირის მიერ, საქართველოში

საერთაშორისო მეცნიერებათა კავშირი
2020.08.15



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 65

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 65

გამომცემლობის

რედაქტორი

– ხათუნა ამაღლობელი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუბუაძე

კორექტორი

– გულიკო ბობიტიძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – დანი დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com